პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

# კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ჩაკის ორგანო.

**რედაქცია:** ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

**მთავარი კანტორა:** ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 120 სამშაბათი 29 მაისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 40,000 მან. № 1 0

## დღიური

ინგლისში მთავრობის წინააღმდეგ დღითი დღე იზრდება ოპოზიცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებას და საბჭოთა რუსეთის ცნობას.

იაპონიის სავაჭრო წრეები მოითხოვენ რუსეთთან კავშირის აღდგენას და საბჭოთა მთავრობის ცნობას.

მთელ რურში აჯანყება გრძელდება. გაფიცვები ღებულობენ საერთო ხასიათს. გელზენკირხენის მუშათა საბჭო განაგრძობს მუშაობას. აჯანყებამ ფეხზე დააყენა ბურჟუაზიული კლასები.

ოსმალეთი და საბერძნეთი შეთანხმდენ.

# მიწის რეფორმის გარშემო

ჩვენი გაზეთის კვირის №-ში დაიბეჭდა კორესპონდენცია მიწის რეფორმის გატარების შესახებ სოფ. ილემში (შორაპნის მაზრა), წერილის ავტორი გადმოგვცემს, თითქო იქ მიწის კომისიას ჩაედინოს შეცდომები და უკანონობანი, რაც იმაში გამოიხატება, რომ „ზოგიერთებისათვის სულ ჩამოურთმევიათ ყველაფერი, ზოგს კი სულაც არ შეხებიან... ჩამორთმეულ მიწებიდან ვენახები და საუკეთესო მიწები პირველ რიგში თვითონ მიუსაკუთრებიათ კომისიის წევრებს..., რაც იწვევს ხალხში უკმაყოფილებას“.

ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, რომ მსგავს ბოროტმოქმედებას აქა-იქ სხვაგანაც ჰქონია ადგილი.

ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენათ შეესაბამება ასეთი ცნობები სინამდვილეს, არც გვაქვს საშუალება ადგილობრივად შევამოწმოთ საქმის მდგომარეობა.

მაგრამ რომ ყველაფერი რიგზე არ მომხდარა აგრარული რეფორმის განხორციელების დროს, ამის თქმა ხელაღებით შეიძლება.

გასაკვირიც იქნებოდა, რომ ისეთი უდიდესი საქმე, როგორიცაა მიწის რეფორმა, იდეალური სისრულით ჩატარებულიყო, მით უმეტეს ჩვენს პირობებში, როცა საადგილ-მამულო ურთიერთობა ძალიან დახლართული იყო და ამასთან არ მოგვეპოვებოდა საკმაო კადრი მომზადებულ და გამოცდილ მუშაკების, რომელთაც შეეძლოთ საბჭოთა აგრარულ კანონმდებლობის განხორციელება უმტკივნეულოდ და დაუმახინჯებლად.

მთავარი სამუშაო მიწის რეფორმის გატარებაში უნდა შეესრულებიათ ადგილობრივ საადგილ-მამულო კომისიებს. ვისაც წარმოდგენილი აქვს, თუ რა გაჭირვებას განიცდის სოფელი შეგნებულ და გამოსადეგ მუშაკების სიმცირის და პირდაპირ უყოლობის გამო, დარწმუნდება, რომ მეტად ძნელი იყო ამ კომისიებში ყველგან მოხვედრილიყვენ საიმედო და პატიოსანი ელემენტები. ეჭვი არ არის, რომ ეხლანდელ კომისიებშიც, როგორც წინანდელებში, თუმცა გაცილებით ნაკლები მასშტაბით, კვლავ [illegible] ზოგ ალაგას ბოროტი პირები, ხშირად გახვეულნი ხალხის გულშემატკივართა წამოსასხამშიც. მათ მოინდომეს მდგომარეობით, „მინიჭებული უფლებებით“ სარგებლობა პირადი ანგარებისათვის ან სხვებთან კერძო ანგარიშების გასასწორებლად.

ამიტომ ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ისეთი სურათი, როცა ზოგიერთი საადგილ მამულო კომისიების წევრებმა, ან ამა თუ იმ წევრმა უკანონოდ მიითვისეს საუკეთესო ადგილები, თვითნებურად ამ მხრივ უპირატესობა მიაკუთნეს თავიანთ ნათესავებს და მოკეთეებს; არ ჩამოართვეს მიწები იმათ, რომელთაც ნორმის მიხედვით უნდა ჩამართმეოდათ; ზოგიერთებს კიდევ ზედმეტი დაურიგეს; მეორე მხრივ, კერძო მტრობის ნიადაგზე, რასაც ხშირად აქვს ადგილი სოფელში მეზობლებ შორის, ზოგიერთებს ნორმაც არ შეანარჩუნეს.

ადგილობრივი კომისიების მუშაობისათვის ფხიზელი მეთვალყურეობა და კონტროლი უნდა გაეწიათ პარტორგანიზაციებს და ზევით მდგომ სათანადო საბჭოთა ორგანიზაციებს. მაგრამ ეტყობა, რომ ეს კონტროლი ზოგ ადგილას საგრძნობლად მოისუსტებდა, რაც უეჭველად დიდი მინუსად უნდა ჩაეთვალოს მათ.

ასეა თუ ისე, ცხადია შემდეგი: აგრარული რეფორმა საერთოდ ჩატარდა დამაკმაყოფილებლად, მაგრამ კერძო შემთხვევებში ადგილი ჰქონდა მისი აზრის დამახინჯებას, ბოროტმოქმედებას. უმთავრესად ეს მოხდა იმ პირების წყალობით, რომელთაც არაკეთილსინდისიერად მოიხმარეს ხალხის და ხელისუფლების ნდობა, რომელთაც პირადი ინტერესებისათვის შელახეს გლეხობის ინტერესები და შებღალეს მთავრობის სახელი.

აგრარულ რეფორმის გატარების დროს ჩადენილი შეცდომები უნდა გამოსწორდეს დაუყოვნებლივ, ბოროტმოქმედებები ძირიანად იქნეს აღმოფხვრილი. უნდა მოხდეს სასტიკი გამოძიება და დამნაშავე პირები სამაგალითოდ დასჯილნი.

აქეთკენ ვაქცევთ ჩვენ ადგილობრივი პარტორგანიზაციების და სათანადო საბჭოთა ორგანოების ყურადღებას.

# სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საკითხი

კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმწიფო აპარატის საკითხს. ამის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მშვიდობიან მშენებლობის ამ პერიოდში უნდა წამოყენებული იქნას მმართველობის და მეურნეობის ორგანოების რეორგანიზაციის საკითხი. წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული აპარატი, უცხოა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანებისათვის. საჭიროა მძიმე და ძვირი აპარატის გამარტივება, მასში მუშაობის ახალ მეთოდზე დაყენება და შრომის და მმართველობის მოწყობა მეცნიერულ ორგანიზაციის საფუძველზე. სახელმწიფო აპარატი უნდა შეიქნეს უფრო ახლო და ნაკლებ დამამძიმებელი მშრომელ მასებისათვის. ის უნდა ემსახურებოდეს მუშების და გლეხების ინტერესებს.

ამასთანავე ყრილობამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო აპარატის საკითხი არ გადიჭრება ერთი ხელის დაკვრით, რომელიმე უბრალო რეფორმის გატარებით. მისთვის საჭიროა რამოდენიმე წლის სისტემატიური მუშაობა. ამასთან ერთად ამ საკითხის გადასაჭრელ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქმნენ სახელმწიფო აპარატის ყველა ხელმძღვანელები. მხოლოდ მათი ინიციატივით, თვითმოქმედობით და შინაური კონტროლის დაწესებით შესაძლებელი იქნება აპარატის განმარტივების საკითხის საბოლოოდ გადაჭრა.

სახელმწიფო აპარატის ახალ საფუძველზე მოწყობას და გაჯანსაღებას ყრილობა ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. მათ ამ საქმეში უნდა დაიხმარონ შრომის ინსტიტუტები და ის ორგანიზაციები, რომელთაც დასახული აქვთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციების საკითხების გადაჭრა.

ამ საკითხის გადასაჭრელად ცალკე ორგანოების გამოყოფა არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო აპარატის დანარჩენი ორგანოები თავისუფლდებიან ამ საქმისაგან. სრულიადაც არა. თითოეული საბჭოთა ორგანოს და აპარატის ყველა ხელმძღვანელები ვალდებული არიან აპარატის განმარტივების და გაჯანსაღების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველ შედეგებს ვერ მივიღებთ.

ამ მხრივ მუშაობას უკვე უნდა შევუდგეთ და ცხოვრებაში გავატაროთ მე-12-ე ყრილობის დადგენილებები. იმის ცდა, რომ ეს საკითხი გატარდება საბჭოთა უმაღლეს ორგანოებში და გამოტანილი იქნება განსაკუთრებული დადგენილებები აპარატის რეორგანიზაციის შესახებ შეცდომა იქნება, ვინაიდან როგორც თვით რეზოლიუცია ამბობს, ეს ამოცანა არ გადიჭრება ერთ რომელიმე აქტით.

აპარატის განმარტივების და გაჯანსაღების საკითხი—ეს ყოველდღიური წვრიმალი საქმეა, რომელიც გამოიხატება მუშაობის დროს აღმოჩენილ დეფექტების აღმოფხვრასა, ყოველდღიურ მუშაობის მოწესრიგებასა, ხელის შემშლელი პირობების მოსპობასა და თანდათანობით საქმის მსვლელობის განმარტივებაში. ყველაფერი ეს კი პირდაპირ მოვალეობათ უნდა ჩაითვალოს ყველა საბჭოთა მუშაკებისათვის და უმთავრესად კი ორგანოების ხელმძღვანელთათვის.

უნდა გულახდილად ითქვას, რომ აქამდის ბევრ წვრიმალ დეფექტებს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მართალია, თითოეული მათგანი დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ საერთო ჯამით ფრიად საგრძნობელი ხდებიან.

ქვევით ვცდებით შევეხო ჩვენი ორგანოების ზოგიერთ ნაკლებს, რომლებიც საერთო მოვლენად გადაიქცნენ.

1.

**საბჭოთა დაწესებულებებში ქაღალდების მსვლელობა. უთავბოლო მიწერ-მოწერა. საქმის წარმოება. 6 ს. მაგიერ 3 საათის მუშაობა. მოვალეობათა არევა. მთხოვნელები. დაწესებულების ხელმძღვანელნი და სხვ.**

**ქაღალდების მსვლელობა.** ყველაზე დიდ ნაკლად საბჭოთა დაწესებულებაში უნდა ჩაითვალოს ქაღალდების ნელი მსვლელობა. მაგალითად, ტფილისში ერთ დაწესებულებიდან მეორეში ქაღალდი მიდის არა ადრე სამი ოთხი დღისა. ხანდახან მეტი დროც უნდება. ეს კიდევ არაფერია, მაგრამ გასაკვირალი ის არის, რომ ერთ შენობაში მოთავსებულ ერთ დაწესებულების განყოფილებიდან იმავე დაწესებულების განყოფილებაში ქაღალდის მისვლას უნდება ხანდახან ორი-სამი დღე.

უმეტეს ნაწილად ამის მიზეზები არის არა ბოროტი განძრახვა, არამედ შუამავალი ინსტანციების სიმრავლე (სადაც ქაღალდებმა უნდა გაიარონ) და ქაღალდის სხვადასხვა წიგნებში ჩაწერის პროცედურა. დაწესებულებაში იმდენი შემოსავალ-გასავალ ქაღალდების ჟურნალია, რამდენიც განყოფილება და ქვე-განყოფილება არის. აი კურიოზული მაგალითი. ერთ სამაზრო აღმასკომის ერთ-ერთ განყოფილებაში ითვლება სამი მოსამსახურე—განყოფილების გამგე, ინსტრუქტორი (ექვემდებარება გამგეს) და საქმის მწარმოებელი. ინსტრუქტორს თავისთვის ცალკე აქვს შემოსავალ-გასავალ ქაღალდების ჟურნალი, განყოფილების გამგეს და საქმის მწარმოებელს—თავისი. სამივე ზიან ერთ ოთახში. შემოსულ ქაღალდების რიცხვი ინსტრუქტორის წიგნში თვეში აღწევს 10 ს, გამგისაში—25-ს, ინსტრუქტორი თხოულობს ცალკე საქმის მწარმოებელს თავის კანცელარიისათვის.

**უთავბოლო მიწერ-მოწერა.** ხშირად მიწერ-მოწერა ხდება უთავბოლოდ. მაგალითად, ერთ დაწესებულების განყოფილებიდან იმავე დაწესებულების მეორე განყოფილებაში (მოთავსებული არიან ერთ შენობაში), გადასაგზავნი შემოსული ქაღალდი (თხოვნა ან სხვა) არ იგზავნება ისე, თუ თან არ დაერთვა მანქანაზე დაბეჭდილი მიმართვა: „გიგზავნებათ კუთვნილებისამებრ ამა და ამ დაწესებულებისაგან გამოგზავნილი ქაღალდი ამის და ამის შესახებ“ და სხვა.

იყო ასეთი შემთხვევა. დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელს პირადათ იწვევდენ სხდომაზე. მოსული უწყება გადასცეს საქმეთა მმართველს. (ყველა ქაღალდებმა მაინცა და მაინც საქმეთა მმართველის ხელში უნდა გაიაროს). მან დააწერა რეზოლიუცია — „გადაუგზავნეთ“. კანცელარიის გამგე აბეჭდვინებს მანქანაზე ქაღალდს: „გიგზავნებათ ამასთანავე მიწვევის ბარათი ამა და ამ სხდომაზე დასასწრებლათ“. სანამ დაიბეჭდა, ხელი მოაწერა საქმეთა მმართველმა, კანცელარიის გამგემ და საქმის მწარმოებელმა და გატარდა რეგისტრაციაში და შემდეგ კი გადაეცა დამტარებელს—უწყებას ვადა გაუვიდა. ამის მაგივრად საკმარისი იყო კარების გაღება, მეორე ოთახში გასვლა და უწყების ხელში გადაცემა.

**მუშაობის ხანგრძლივობა.** ბევრს გაუკვირდება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ საბჭოთა დაწესებულებებში, ძალიან მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, მუშაობა სწარმოებს არა 6 საათს, არამედ 3-ს. ოფიციალურათ ის უნდა იწყებოდეს 9 ს. და თავდებოდეს 3-ზე. მაგრამ სინამდვილეში, 9 საათზე, ე. ი. მოსამსახურეების მოსვლისთანავე (მხედველობაშია, რომ მოდიან დროზე) მუშაობა არსად არ იწყება. იწყება მხოლოდ 10 საათზე, „მცირე“ მომზადების შემდეგ. ნამდვილად და არა ოფიციალურად თავდება მუშაობა არა 6 საათის შემდეგ (3 საათზე) არამედ 5 საათის შემდეგ (2 საათზე), ვინაიდან ერთ საათს ემზადებიან წასვლას. დაუმატეთ ამას კიდევ თავ-შეუწუხებელი მუშაობა და თქვენ მიიღებთ 6 საათის მაგივრად 3 საათს.

თუ რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელს არ სჯერა ეს და ჰგონია, რომ მის დაწესებულებაში სრულ 6 საათს სწარმოებს მუშაობა, ურჩევ ეს გასინჯოს. მაგალითად, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ დაიარონ დაწესებულება და ჰკითხონ თითოეულ მომუშავეს, თუ რა გააკეთა მან გუშინ.

**საქმის წარმოება და არქივი.** რასაკვირველია, კანცელარიაში საქმის წესიერად დაყენება არ არის გამოწვეული მარტო წესრიგის გულისათვის, არამედ მასზე დამოკიდებულია საქმის მსვლელობის სიჩქარე, დროზე პასუხის გაცემა და ცნობის მიცემა, შესრულების კონტროლი და სხვ.

საქმის წარმოება ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ ის გასაგები იქნეს არა მარტო იმ საქმის მწარმოებლისათვის, რომელიც საქმეს აწარმოებს, არამედ ყველასათვის. ეს კი ასე არ არის. საქმეებს ჩვენ დაწესებულებაში აქვს პირადული ხასიათი. აი მაგალითად: მოსამსახურე არ მოვიდა შემთხვევით, მის საქმეებს ვერავინ ვერ გაარჩევს. ხშირად დაწესებულებიდან ასეთ პასუხს იძლევიან. „ხვალ მოდით, დღეს ის მოსამსახურე, რომელსაც თქვენი საქმე აქვს;—არ არის“-ო რომ ამაში დარწმუნდეთ, დაიარეთ დაწესებულება და ყველა მოსამსახურეების მაგიდების უჯრები გამოსწიეთ და შემდეგ პირადი პორტფელები გასინჯეთ. იქ ნახავთ სხვა და სხვა ქაღალდებს, შესრულებულებს, არა შესრულებულებს, დომხალივით ერთმანეთში არეულებს. ქაღალდები და საქმეები (ლაპარაკია სამსახურის, და არა პირადის), თითოეულ მოსამსახურის პორტფელებში და მაგიდის უჯრებში არ უნდა იყოს. მათი ადგილი არის—სათანადო პაპკებში (როგორც შესრულებულების, ისე არა შესრულებულების) და საერთო საქმის შკაფში. დაწესებულებაში რაც უნდა ქაღალდი არ შემოვიდეს, მას სათანადო ადგილი აქვს, მაგრამ არა პირადი მაგიდის უჯრა და პორტფელი.

უთავბოლო, არეული საქმეები გავლენას ახდენს თვით მომუშავეზე და მისი მუშაობის ნაყოფიერება ძლიერ ეცემა.

**მოვალეობათა არევა.** თითქმის ყველა დაწესებულებაში მოსამსახურეთა შორის არ არის განაწილებული მტკიცედ მოვალეობა. მოსამსახურემ არ იცის, თუ სად იწყება მისი მოვალეობა და სად თავდება. დღეს ერთს აკეთებს, ხვალ მეორეს რაც იწვევს უპასუხისმგებლობას. (აქ ლაპარაკია არა თანამდებობით მინიჭებულ ფუნქციებზე, არამედ ისეთებზე, რომლებითაც მათ მნიშვნელობის გამო არ არის მტკიცედ გამორკვეული თუ ვის ეკუთვნის).

მაგალითი: ერთ დაწესებულებაში აღმოაჩინეს ერთი კვირის გაუგზავნელი ფოსტა (მიწერ-მოწერა იგზავნება ყოველ დღე). პასუხი შემდეგი იყო. საქმეთა მმართველისაგან—გადაეცი კანცელარიის გამგეს ხელმოწერილი ქაღალდებიო. კანცელარიის გამგისაგან—გადავეცი საქმის მწარმოებელსო. საქმის მწარმოებლისაგან—გადავეცი რეგისტრატურას*) წიგნებში ჩასაწერად და გასაგზავნათო. რეგისტრატურამ—ჩავწერე, დავამზადე პაკეტებში და გადავეცი დამტარებელსო. დამტარებელმა—მარკები არ იყო კონვერტებზე და არ წავიღე, ვუცდიდი მარკების მოცემასო.

ბევრი ვეცადეთ, გამოგვერკვია, ვისი საქმე იყო განკარგულების გაცემა მარკების შეძენის შესახებ, ვის ხელში უნდა ყოფილიყო ეს მარკები, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. ყველა თავს იმართლებდა, ჩემი მოვალეობა არ არისო.

აი სწორედ ასეთი წვრიმალი მოვალეობა არ არის განსაზღვრული მოსამსახურეთა შორის, ეს კი საქმეს დიდად აფერხებს და იწვევს უპასუხისმგებლობას.

ს. გოდაბრელიძე.

(შემდეგი იქნება).

---

*) ეს ოთხ სართულიანი ინსტანცია, თითქმის ყველა დაწესებულებაში არის.

# სკოლის გადახალისებისათვის

საკმარისია ცოტათი იცნობდე კაცობრიობის ისტორიას, რომ დარწმუნდე, თუ როგორი აშკარა გამომხატველია სკოლა ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურისა. სკოლა სარკეა თანამედროვე ცხოვრების. მისი შინაარსი: ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება, ტეხნიკა, მუსიკა და სხვა, რომელთაც საზოგადოებრივი ზედნაშენი ან იდეოლოგია ეწოდება, ცვალებადია ისე, როგორც თვით ჩვენი ცხოვრება. მოხდება თუ არა რაიმე გარდატეხა საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში, იდეოლოგიაც შეიცვლება, შესაფერის სახეს მიიღებს.

თუ ყოველივე ეს ათასჯერ გადაღეჭილი ჭეშმარიტებაა, არ არის გასაკვირი, რომ ოქტომბრის დიდი გადატრიალების შემდეგ სკოლას სახე შეეცვალა, რომ ის ახალ გზაზე შემდგარიყო, ახალი ცხოვრება დაეწყო, მაგრამ ამ გადახალისებას ათასგვარი დაბრკოლება მოჰყვა: მისი პედაგოგიური პერსონალის დიდი უმრავლესობისათვის, რომელიც აღზრდილი იყო ბურჟუაზიულ სკოლის პირობებში, უცხო შეიქნა მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებები, მან ვერ გაიგო ახალი ცხოვრების სულისკვეთება. ამას თან ერთვის შესაფერისი სახელმძღვანელოების უქონლობა და სხვა მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებანი. ყოველივე ეს აშკარათ ეღობებოდა და დღესაც ჯერ კიდევ ეღობება წინ სკოლის გარდაქმნის საქმეს, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. რუსეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება მეექვსე წელია არსებობს, გაცილებით მეტია გაკეთებული, ვინემ ჩვენში, რაიც საშუალებას გვაძლევს ვისარგებლოთ უფროსი ამხანაგების ცდებით და გადატრიალების მესამე წელში გვერდში ამოუდგეთ მათ. ამ მხრივ ჩვენში თავიდანვე სწარმოებს მუშაობა, მაგრამ საჭირო არის ჯერ კიდევ მთელი ჩვენი ძალების დაძაბვა, რომ ხსენებულ საფეხურამდე ავიდეთ.

ჩვენს მასწავლებლობაში მართალია დიდი გარდატეხა მოხდა, მაგრამ საკითხი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ძველ პოლიტიკას აწარმოებს და ბევრიც ახალ პედაგოგიურ პრინციპებს ვერ ითვისებს. განათლების ხელმძღვანელთა და ამ სარბიელზე მომუშავეთა კავშირის მოვალეობაა თავიდან მოიშოროს გაუსწორებელი ელემენტები, ხოლო მათ, ვინც კი შემდგარა ახალ პლატფორმაზე, ხელი შეუწყოს, ვინც მერყეობს განიცდის, ისინი კი განამტკიცოს, გაამაგროს ახალ პრინციპებში.

ეს სკოლის ცოცხალი ელემენტის მხრივ.

მაგრამ სკოლის ცხოვრებაში არის სხვა ელემენტებიც, რომელთა გადასინჯვა-გადახალისება აუცილებელია. ეს არის სასწავლო ნივთების და სახელმძღვანელოების შეფარდება ახალ სკოლასთან. ამ მხრივაც არის ბევრი რამ გაკეთებული, მაგრამ სახელმძღვანელოების მხრივ, განსაკუთრებით, ჩვენი სკოლა მეტად მოიკოჭლებს. დღესაც ჩვენი სკოლის მოწაფეები მეცადინეობენ იმ სახელმძღვანელოებით, რომლებიც გაჟღენთილია ნაციონალიზმით, ქრისტიანული, ბურჟუაზიული მორალით, მონარქისტული აზრებით და სხვა. დღეს, როდესაც დაინგრა ძველი წესები, ინგრევა ეკლესია, პირდაპირ მიუტევებელია ბავშვებს მისცე ხელში ასეთი სახელმძღვანელოები და ესეც მაშინ, როდესაც პედაგოგიური პერსონალის ნაწილი მაინც ამ ახალ ცვლილებების წინააღმდეგ არის განწყობილი. ჩვენ ვიცით, რომ მასწავლებელი სულია სკოლის, მაგრამ თუ ის ვერ ითმენს ახალი ცხოვრების პირობებს და მასთან ერთად სახელმძღვანელოებიც მისი სულიერ განწყობილებას შეეფერება, როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთ სკოლაში შეაშუქებს ახალი სხივი. ამიტომ საჭირო არის სკოლების გადახალისებისათვის პედაგოგიურ პერსონალს, როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში გაუმართოთ კურსები, ლექციები, მოხსენებები და სხვა. მაგრამ აუცილებლივ დამკვრელ ამოცანათ უნდა იქნეს გამოცხადებული სახელმძღვანელოების გადახალისება; მათი ახალი პედაგოგიურ პრინციპებზე და პროლეტარულ მორალზე აგება და ამ გზით მოზარდ თაობისათვის ახალი საზრდოს მიწოდება.

როგორც ვთქვი, მუშაობა წარმოებს ამ მხრივაც, მაგრამ საქმის სასურველათ და ჩქარი ტემპით წინსვლისათვის საჭირო არის ამოქმედება ყველა იმ ცოცხალი ძალების, რომლებსაც კი შეუგნია-შეუთვისებია ახალი სკოლის მისწრაფებანი. საჭიროა შეუჩერებელი და დაუღალავი მუშაობა. არ კმარა მარტო ერთი ან ორი ახალი სახელმძღვანელოს გამოცემა. გადასახალისებელ-გადასასინჯავია თითქმის ყველა. ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს მომავალ ზაფხულის არდადეგებზე, ამიტომ საჭირო არის ამ დროის მაქსიმალურად გამოყენება, რათა ახალ სამოსწავლო წელს შევხვდეთ მეტი მომზადებული.

კ. მ.

# ორიოდე სიტყვა საქართველოს მოსახლეობის შესახებ

„გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 104 ნომერში მოთავსებული იყო ა. რუხაძის წერილი: „По поводу одного спора“. ამ წერილს მოჰყვა დ. დანიძის პასუხი გაზ. „კომუნისტ“-ის მე-116 ნომერში („ვინ არის მართალი?“). გაზ. „კომუნისტ“-ის მე-117 ნომერში კვლავ დაიბეჭდა ა. რუხაძის წერილი (დ. დანიძის წერილის საპასუხოდ) სათაურით—„ვინ არის მართალი?“. ამ წერილების საგანს შეადგენს საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გაშუქება. როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ საკითხის გარშემო რ. კ. პ. მე-XII ყრილობის მოწვევამდე გამართული იყო კამათი მოსკოვის „პრავდა“-ს სადისკუსიო ფურცლებზე.

მე ამ წერილში არ შევეხები იმას, თუ მართლა, ვინ იყო მართალი ა. რუხაძის მიერ აღძრულ საკითხში, მხოლოდ არ შემიძლიან არ ავღნიშნო რამდენიმე მომენტი, ყოველივე გაუგებრობის გასაფანტავათ.

ამა თუ იმ სახელმწიფოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გამორკვევის დროს, რასაკვირველია, არ არის საკმარისი მხოლოდ ქალაქთა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გამორკვევა. ყოველ სახელმწიფოს მოსახლეობა შესდგება ორი ელემენტისაგან: ეს არის—სოფლის მოსახლეობა—ერთის მხრივ და მეორე მხრივ—მოსახლეობა ქალაქის. ორივე ეს ელემენტი შეადგენს ერთ მთლიან ცნებას სახელმწიფოს მოსახლეობისას. და თუ ჩვენ მიზნად დავისახავთ მის ეროვნულ შემადგენლობის გამორკვევას, ანალიზის ობიექტათ ეს ცნება უნდა გავიხადოთ და არა თვითეული ელემენტის, ან მხოლოდ ერთი რომელიმე ამ ელემენტთაგანის გარჩევა.

ჩვენ გვგონია, რომ ამხ. ა. რუხაძე არსებითად ცოტათი შეცდარია, როდესაც იგი ერთის მხრივ სწერს: (იხილე გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 104) „В целях более или менее правильного освещения этого вопроса, нахожу необходимым привести некоторые данные, проливающие свет на этот вопрос“, და ამ აზრს იგი ბოლომდე არ მიჰყვება, და არ არჩევს ამ კითხვას (ეროვნულ შემადგენლობაზე) ბოლომდის, არამედ კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ მკითხველებს აწვდის ცნობებს მხოლოდ ქალაქთა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობის შესახებ.

ამიტომ საჭიროთ დავინახე მკითხველებს მივაწოდო ცნობები როგორც ქალაქის მოსახლეობაზე, ისე სოფლის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე. ვფიქრობ, რომ ამით მივაღწევ უფრო მეტ შინაარსიანობას, უფრო სრულ დახურათხატებას არსებულ მდგომარეობისა.

საქართველოს ეროვნულ შემადგენლობის გამორკვევისათვის სახელმძღვანელოთ უნდა ავიღოთ 1917 წლის აღწერა. საუბედუროდ უფრო ახალი ცნობები ამ საკითხის შესახებ ჯერ არ მოგვეძებნება. (აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ჩემ წერილში: „საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით“, რომელიც დაბეჭდილი იყო „საქართველოს სტატისტიკურ მოამბეში“ № 1, 1921 წ ზოგიერთი გადამუშავების შემდეგ ცვლილებანი იქნა შეტანილი).

ავიღოთ ჯერ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1917 წელში.

| | საქართველოს ნაწილები | სოფლის მოსახლეობა. | ქალაქთა მოსახლეობა. | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| 1. | აღმოსავლ. საქართვ. | 834.485 | 301.404 | 1.135.889 |
| 2. | დასავლეთ. საქართ. | 892.100 | 87.743 | 979 843 |
| 3. | აჭარა | 61.919 | 35.048 | 96.967 |
| 4. | აფხაზეთი | 131.235 | 14 377 | 145 612 |
| | სულ საქართველოში | 1.919.739 | 438.572 | 2.358.311 |

(**აღმოსავლეთ საქართველოში შედის:** 1) ახალქალაქის, 2) ახალციხის, 3) ბორჩალოს, 4) გორის, 5) დუშეთის, 6) თბილისის, 7) თელავის, 8) თიანეთის და 9) სიღნაღის მაზრები. **დასავლეთ საქართველოში:** 1) ზუგდიდის, 2) ლეჩხუმის, 3) ოზურგეთის, 4) რაჭის, 5) სენაკის, 6) ქუთაისის და 7) შორაპნის მაზრები. **აჭარაში**—ბათომის ოლქი, აფხაზეთში—ყოფილი სოხუმის ოლქი).

როგორ არის განაწილებული ეს მოსახლეობა ეროვნების მიხედვით? გავარჩიოთ ეს საკითხი ისე, როგორც იგი მოყვანილია ცხრილში, ე. ი. ჯერ სოფლის მოსახლეობა, შემდეგ, ქალაქთა მოსახლეობა, დაბოლოს ეს ორივე ელემენტი ერთად.

**სოფლის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა პროც.-ში.**

| | | ქართველი | სომეხი | რუსი | ოსი | მთიჩაღლის და საქართველ. საქ. თათრ. | აფხაზი | დანარჩენი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აღმოსავლ. საქართ. | 50,2 | 16,6 | 2,9 | 10,6 | 9,2 | — | 10,5 | 100 პ. |
| 2 | დასავლეთ საქართ. | 99,4 | 0,05 | 0,04 | 0,5 | — | — | 0,01 | 100 „ |
| 3 | აჭარა | 87,0 | 0,4 | 4,2 | — | — | 0,7 | 7,7 | 100 „ |
| 4 | აფხაზეთი | 41,7 | 10,5 | 1,1 | — | — | 30,4 | 16,3 | 100 „ |
| | სულ რესპუბლიკაში | 73,6 | 8,1 | 1,5 | 4,8 | 4,0 | 2,1 | 5,9 | 100 „ |

როგორც ამ ცხრილიდანა სჩანს, ქართველები სოფლის მოსახლეობაში შეადგენენ 73,6 პროც. ს. ეს პროცენტი უფრო გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთ გარემოებას.

ახალციხის მაზრის მოსახლეობის დიდი ნაწილი (სახელდობრ, ქართველი მაჰმადიანები) 1917 წლის მასალაში მოხვდენ „თათრებში“ და „თურქებში“. აი რასა სწერს ამის შესახებ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველი ამავე სამმართველოს ოფიციალურ გამოცემაში. (იხილე „1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის მაზრობლივი ჯამები“ 1922 წლის გამოცემა, მე-5 გვერდი) „... აქ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ქართველი მაჰმადიანები ჩარიცხულნი არიან თათრებთან და ოსმალეთთან (თურქებთან—გ. ფ.) ერთად, ვინაიდან მათი გამოყოფა ყოვლად შეუძლებელი იყო“. და თუ ჩვენ მივმართავთ ამავე გამოცემის ცხრილებს, დავინახავთ შემდეგს: სწერია „ახალციხის მაზრა—თათრები — 15040, თურქები—34776“. სულ, მაშასადამე, 49816 სული.

ამ ჯამის დაახლოებით სამი მეოთხედი რომ მივუმატოთ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მოსახლეობას, მივიღებთ არა 50,2 პროცენტს, როგორც ეს ნაჩვენები იყო ჩვენ ცხრილში, არამედ 55 პროცენტს. საერთო ჯამშიც ქართველების რაოდენობა—73,6 პროც. გაიზრდება 78,4 პროც.

გადავიდეთ ეხლა ქალაქთა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე. (**აღმოსავლეთ საქართველოში:** ქ. თბილისი, აბასთუმანი, ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, გორი, კოჯორი, დუშეთი, მანგლისი, თელავი სიღნაღი, სურამი და ხაშური. **დასავლეთ საქართველოში:** ზესტაფონი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ონი, სამტრედია, სენაკი, ფოთი, ქუთაისი, ყულევი, ხონი და ჭიათურა. **აჭარაში:** ბათომი. **აფხაზეთში:** გუდაუთი, ოჩემჩირე, სოხუმი).

**ქალაქთა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა პროც.-ში.**

| | | ქართველი | სომეხი | რუსი | ოსი | მთიჩაღლის და საქართველ. საქ. თათრ. | აფხაზი | დანარჩენი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აღმოსავლეთ საქართვ. | 29,2 | 32,4 | 21, | 0,9 | 2,3 | — | 14,2 | 100 პ. |
| 2 | დასავლეთ საქართვ. | 87,8 | 1,5 | 3,6 | — | 0,07 | — | 7,03 | 100 „ |
| 3 | აჭარა | 27,2 | 20,6 | 29,1 | — | — | — | 23,1 | 100 „ |
| 4 | აფხაზეთი | 28,5 | 9,3 | 27,8 | — | — | 3,3 | 31,1 | 100 „ |
| | სულ რესპუბლიკაში | 40,8 | 24,6 | 19,0 | 0,6 | 1,6 | 0,1 | 13,3 | 100 „ |

როგორც ამ ცხრილიდანა სჩანს, ქართველების პროცენტი ქალაქებში 1917 წელს უდრიდა 40,8 პროცენტს, სომხების 24,6 პროცენტს, რუსების 19 პროცენტს. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ქართველები შეადგენენ 29,2 პროცენტს, სომხები 32,4 პროცენტს, რუსები 21 პროცენტს.

რომ ავიღოთ იგივე აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები უთბილისოდ, დავინახავთ, რომ ქართველები შეადგენენ 47,2 პროც., სომხები—35,1 პროც, რუსები—6,1 პროცენტს. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა მოსახლეობაზე დიდ გავლენას ახდენს ქ. თბილისის მოსახლეობა, სადაც ეს ორი ეროვნება, სომხები და რუსები 1917 წელს სჭარბობდენ თავისი რაოდენობით.

საერთოთ კი მთელი საქართველოს ქალაქებში, როგორც ვხედავთ, ქართველთა რაოდენობა უდრის თითქმის სომხების და რუსების რაოდენობას ერთად აღებულს. ეხლა განვიხილოთ ეროვნული შემადგენლობა.

**სოფლისა და ქალაქებისა ერთად.**

| | | ქართველი | სომეხი | რუსი | ოსი | მთიჩაღლის და საქართველ. საქ. თათრ. | აფხაზი | დანარჩენი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აღმოსავლ. საქართველ. | 44,6 | 20,9 | 7,9 | 8,0 | 7,4 | — | 11,2 | 100 პ. |
| 2 | დასავლეთ საქართველ. | 98,3 | 0,2 | 0,4 | 0,4 | — | — | 0,7 | 100 პ. |
| 3 | აჭარაში | 65,4 | 7,7 | 12,0 | — | — | — | 14,9 | 100 პ. |
| 4 | აფხაზეთში | 40.4 | 10,4 | 4,5 | — | — | 27,7 | 17,0 | 100 პ. |
| | სულ რესპუბლიკაში | 70,0 | 11,1 | 4,8 | 4,4 | 3,0 | 1,8 | 4,9 | 100 პ. |

ეს ცხრილი ნათლად და აშკარად გვიჩვენებს, რომ ქართველები საქართველოში შეადგენენ 70 პროც. სომხები—11 პროც., რუსები 4,8 პროც.

ავტონომიურ ოლქებშიაც კი ქართული ელემენტი სჭარბობს სხვა ეროვნებათ; ასე, მაგალითად, აჭარაში ქართველები (აჭარლები) შეადგენენ 65,4 პრ., აფხაზეთში (მეგრელ—სამურზაყანოელები)—40,4 პრ., მაშინ როდესაც აფხაზები აფხაზეთში შეადგენენ 27,7 პრ., სომხები—10,4 პრ., რუსები—4,5 პრ.

აი მოკლედ ის სურათი, რომელსაც იძლევა 1917 წლის აღწერა.

ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ მთავარ ეროვნებათა პროცენტული შემადგენლობა 1897 წელში. აღნიშნულ წელში ქართველები შეადგენდენ—65,8 პრ., სომხები—10,5 პრ., რუსები—5,9 პრ., მაშასადამე, 1897 წელთან შედარებით, 1917 წელში ქართველებს მომატებიათ 4,5 პრ., სომხებს—0,6 პრ., მხოლოთ რუსებს დაკლებიათ 1,1 პრ. ამა თუ იმ ეროვნებათა მომატების და დაკლების მიზეზების გარჩევას არ გამოუდგებით. აღვნიშნეთ ეს ფაქტები მხოლოდ საილიუსტრაციოდ.

ასეთი იყო სურათი 1897 წელს. ასეთია სურათი 1917 წლისათვის. რას მოგვცემს მომავალი, ამას დავინახავთ 1922 წლის ქალაქთა მოსახლეობის აღწერის დამუშავების შემდეგ (ამ 7—10 დღეში) მხოლოთ სოფლის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა გამორკვეულ იქნება ივლის—აგვისტოში, განზრახულ სასოფლო—სამეურნეო აღწერის შემდეგ.

ცენტ. სტატ. სამმართველოს დემოგრაფ. განყოფილების გამგე
გ. ფურცაძე

# აჯანყება რურის ოლქში

## წითელი დროშა გილზენკირხენზე

ბერლინი. 25 მაისი. მუშებსა და გილზენკირხენის ბურგომისტრს შორის მოლაპარაკების შემდეგ ქალაქში მოეწყო წესრიგის დამცველი კომისია ოთხი კაცისაგან, კომისიაში შედიან აგრეთვე პროფკავშირების წარმომადგენლები. მოეწყო აგრეთვე სპეციალური ორგანიზაცია მუშების დასაცავად. გილზენკირხენის ქუჩებზე გამოდიან მხოლოდ მუშები. გამვლელებს ჩხრეკენ. პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაზე წითელი დროშა ფრიალებს. მცხოვრებლებმა აიძულეს ვაჭრები დაეკლოთ ფასებისათვის, კომუნისტი წესრიგის დამცველები თვალყურს ადევნებენ, რომ ქურდობას ადგილი არ დარჩეს. თუ როგორ ხასიათს მიიღებს გილზენკირხენის ამბები, გამოურკვეველია, თითქმის მთელი რურის ფაბრიკა-ქარხნებში და მაღაროებში მუშაობა შეწყვეტილია.

### გაფიცვები იზრდება.

ბერლინი. 25 მაისი. უკანასკნელ დღეებში მთელ რურის ოლქს მოედო გაფიცვების ტალღა, რომელიც გამოწვეულია პირველი საჭიროების საგნებზე ფასების ზღაპრულად ზრდით და მარკის კურსის დაცემით. გაფიცვების ცენტრია დორტმუნდი და გილზენკირხენი.

### მუშებმა გაიმარჯვეს.

ბერლინი. 25 მაისი. ოთხი დღის უკან გილზენკირხენში გაფიცვის გამო მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები. მუშებმა გაიმარჯვეს. გუშინ ახლობელ ქალაქ ვანედან გილზენკირხენში მოვიდა ბურჟუაზიული თავდაცვის რაზმები, რომელსაც შეტაკება მოუხდა პროლეტარულ თავდაცვის რაზმებთან. ბურჟუაზიის რაზმები დამარცხდა და გაიქცა.

### საჭიროა დიდი სიფრთხილე.

ბერლინი. 25 მაისი. „როტე-ფანე“ აფრთხილებს რურის მუშებს არ აყვენ ფრანგ და გერმანელ პროვოკატორებს, გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის ბურჟუაზია დაინტერესებულია იმაში, რომ მუშათა კლასი პროვოკაციის ანკესზე წამოეგოს, რომ ამით საშუალება მიეცეს მას სისხლში ჩაახრჩოს პროლეტარიატი „როტე-ფანე“ აღნიშნავს, რომ კომპარტიის მოვალეობას შეადგენს გააფრთხილოს უიარაღო მუშები შეიარაღებულ მტრებთან ბრძოლისაგან.

### ბურჟუაზია ძალების მობილიზაციას ახდენს.

ბერლინი 25 მაისი. ბურჟუაზიული პრესა სასტიკად ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ და ავრცელებს აშკარად ყალბ ცნობებს რადეკის ვითომდა რურში ჩამოსვლის შესახებ.

გაზეთ „ცაიტის“ ცნობით სახალხო პარტიას განზრახვა აქვს შეიტანოს ლანდტაგში შეკითხვა რურის ამბების შესახებ.

შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით, პრუსიის მთავრობამ სთხოვა საოკუპაციო ხელისუფლებას ნება დართოს პოლიციელთა რაზმების გაგზავნაზე იმ რაიონებში, სადაც აჯანყება ხდება. დორტმუნდის სოციალ-დემოკრატიულმა პროფკავშირებმა დეპეშით მიმართეს გამბურგის კონგრესს, რომელშიც სთხოვენ მას დაუყოვნებლივ ჩაერიონ რურის კონფლიქტში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, რურის ამბები კატასტროფიულ ხასიათს მიიღებენ.

### აჯანყება ძლიერდება.

ბერლინი. 28 მაისი, მიღებული ცნობებით, აჯანყება რურში უფრო ძლიერდება. აღელვება ესენსაც მოედო.

### აღელვება ბოხუმში.

ბერლინი. 28 მაისი. მღელვარება გილზენკირხენიდან ბოხუმსაც მოედო. აჯანყებული მუშები თავს დაესხენ ბურჟუაზიული გაზეთების რედაქციებს.

### მდგომარეობა „კრიტიკულია“.

ბერლინი. 28 მაისი. რურის ამბებმა შიშის ზარი დასცა გერმანიის მთელ ბურჟუაზიულ პრესას პრესის აზრით მდგომარეობა ბოხუმში და დორტმუნდში „კრიტიკულია“.

### აჯანყებამ მთავრობაც შეაშფოთა.

ბერლინი. 28 მაისი. გერმანიის მთავრობა პარასკევს იხილავდა მუშების აჯანყებით რურის ოლქში შექმნილ მდგომარეობას.

პრუსიის პრემიერმა მოწოდებით მიმართა რურის ოლქის მცხოვრებთ დაემორჩილონ ბურჟუაზიის თავდაცვის რაზმებს.

### მაგრათ არიან.

პარიზი. 28 მაისი. გილზენკერხენში მუშათა ხელისუფლება მაგრათ გრძნობს თავს.

### აჯანყება მთელ რურს ედება.

პარიზი. 28 მაისი. მუშების აჯანყება მთელ რურს ედება.

პარასკევს ესენში მოხდა დიდი გამოსვლები. უმუშევრებმა აიძულეს ვაჭრები საქონელზე ფასები დაეკლოთ.

### ბურჟუაზია დაფრთხა.

პარიზი. 28 მაისი. რურში აჯანყებით შეშინებული ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას. გაზეთები აღიარებენ, რომ მარკის კურსის დაცემა და საქონელზე ფასების ზრდა არის აჯანყების მთავარი მიზეზი.

# რადიო-დეპეშები

## რუსეთი და ინგლისი

**რუსეთის პასუხი ნიშნავს გარდატეხას პოლიტიკურ ურთიერთობაში.**

**ლონდონი** 24 მაისი. იხილავს რა რუსეთის ნოტას, „დეილი ჰერალდ"-ი სწერს: „ახლა ბალდვინის საქმეა განიხილოს, შეიძლება თუ არა იმ ნოტას, რომელშიც გამოთქმულია უთანხმოება რუსეთისათვის წარდგენილ მოთხოვნილებების გარჩევაზე, მოეპყრას ისე, როგორც 1914 წ. ავსტრია მოეპყრა სერბიის პასუხს. რუსეთის პასუხმა თავის თავდაჭერილობით და წინდახედულობით ახალი ნაკადი შეიტანა დიპლომატიურ ურთიერთობაში. სწორეთ იმიტომ, **რომ საბჭოთა მთავრობა არის სოციალისტური მთავრობა**, მან ასე თავდაჭერით უპასუხა კერზონის პროვოკაციას. რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკება ნათლათ ხატავს მთელ კონტრასტს კაპიტალისტურ იმპერიალიზმსა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს შორის.

## რუსეთის პასუხის გარშემო

**მიმართავენ ხრიკებს**

**ლონდონი** 24 მაისი. ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს კრასინმა განაცხადა, რომ **საბჭოთა მთავრობის პასუხი ინგლისის მოთხოვნილებებზე უნდა ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად.** მაგრამ, არის საფრთხე, რომ ზოგიერთი წრეები ცდილობენ, რაც არ უნდა დაუჯდენ, გამოიწვიონ განხეთქილება. შეეხო რა პროპაგანდას, **კრასინმა უჩვენა ჟურნალისტებს გაზეთ „პრავდა"-ს ყალბი ეკზემპლიარი, რომელიც დაბეჭდილია ლონდონის სტამბაში და ეგზავნებოდა ინგლისის ელჩს გელსინგფორსში, რუსეთში გასავრცელებლად.**

**ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს სიმართლეში.**

კრასინმა განაცხადა, რომ თუ ინგლისი შეძლებს წარმოგვიდგინოს ჩვენ რაიმე ნამდვილი საბუთი, რომელიც დაამტკიცებს ჩვენ პროპაგანდას დიდი ბრიტანეთის საზღვრებში, ჩვენ კიდევ უფრო შორს წავალთ, ვინემ ჩვენ უკანასკნელი პასუხში წავედით. ხოლო თუ ინგლისის მთავრობა დადგება განხეთქილების ნიადაგზე, ჩვენ უნდა ველოდეთ თავდასხმას განაპირა სახელმწიფოებზე—და ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა კვლავ დადგება სერიოზული საფრთხის წინაშე.

**ინგლისის რადიო რუსეთის პასუხის შესახებ**

**ლონდონი** 24 მაისი. ინგლისის ოფიციალური რადიო ამბობს: „თუმცალა საბჭოთა მთავრობის პასუხი არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად, მაგრამ, მასში აღნიშნულია გარანტიები ინგლისის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პრესა საერთოდ ამჩნევს რუსეთის პასუხში კეთილ განზრახვებს და მთავრობას არაფრად არ ესაჭიროება დააბრკოლოს რუსეთი ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეწყვეტის გზით".

**საფრანგეთის პრესა რუსეთის პასუხის შესახებ.**

**პარიზი** 24 მაისი **საფრანგეთის პრესა რუსეთის ნოტას შემარიგებელ ხასიათს აძლევს.** „იუმანიტე" ფიქრობს, რომ საფრთხე არ არის განვლილი, სანამ არსებობს ანტი—რუსეთის ხროვა. მაგრამ, „ინფორმასიონ"-ის აზრით, ბალდვინის კაბინეტი სერიოზულ დამშვიდებას შეიტანს ინგლის-რუსეთის ურთიერთობაში.

## ინგლისის ახალი მთავრობა

**ოფიციალური ცნობა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ.**

**ლონდონი.** 26 მაისი. დღეს ოფიციალურად გამოაქვეყნეს ინგლისის ახალი კაბინეტის შემადგენლობა ბალდვინის თავმჯდომარეობით. **ახალ კაბინეტში შევიდენ ბონარლოუს კაბინეტის ყველა წევრები.** კაბინეტის ახალ წევრებს წარმოადგენენ: რობერტ სესილი, რომელიც დანიშნულია სახელმწიფო ხაზინის დამცველად, დავიდსტონი, რომელიც დანიშნულია ლანკასტერის საგერცოგოს კანცლერად.

## ინგლისის მთავრობისადმი ოპოზიცია ძლიერდება

**ლონდონი.** 25 მაისი. პოლიტიკური კრიზისი, რომელმაც დროებით დამშვიდება გამოიწვია რუსეთ-ინგლისის კონფლიქტში, საშვალებას იძლევა მოკლე მიმოხილვა გაუკეთოთ უკანასკნელი სამი კვირის ამბებს. დამახასიათებელია ორი უმთავრესი ფაქტი: **მუშათა პარტიის მხრივ ოპოზიციის გაძლიერება და სხვა კლასების მიერ რუსეთისადმი შეურიგებელი პოზიციის თანდათანობით მიტოვება. პირველი ნაბიჯი გადახდგა კომუნისტურმა პარტიამ რომელმაც 11 მაისს მოითხოვა მოქმედების საბჭოების შექმნა, ნაციონალური კონფერენციის მოწვევა და საბჭოთა მთავრობის ცნობა.** დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ მუშათა პარტიის პროფესიულ ორგანიზებთან ერთად გაავრცელა აურაცხელი მოწოდებები, **რომელსაც მოყვა აურაცხელი პროტესტები მთავრობის მიმართ. რუსეთის პირველი პასუხის შემდეგ, 14 მაისს, მუშათა მოძრაობა უფრო განვითარდა და მოედო მუშათა პარტიის ფართე მასებს.** მასების აღელვება უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ ფართე საზოგადოებრივმა წრეებმა დარწმუნებით არაფერი იცოდენ მთავრობის განზრახვების შესახებ. მრავალ რიცხოვან დემონსტრაციების დროს გამოდიოდენ ორატორები „ხელები შორს რუსეთისაგან"—საზოგადოების სახელით, ორატორები აღნიშნავდენ იმ დათმობებს, რომელზედაც წავიდა რუსეთი მშვიდობიანობის დასაცავად. მიუთითებდენ, რომ საჭიროა მრეწველების გამოსვლა, რომ აიძულონ მთავრობა, იცნოს დე-იურე საბჭოთა მთავრობა.

ამავე, დროს იმ ჯგუფებს, რომლებიც რუსეთთან კავშირის გაწყვეტის მომხრე იყვენ, ეჩვენოდათ ძალების თანდათანობით დაქსაქსვა. როგორც ჩანს ამ ჟამად მუშათა პარტიის ოპოზიცია საკმაოთ ძლიერია, რომ აიძულოს ლიბერალები დარწმუნდნენ იმაში კონსერვატორებისათვის მხარის დაჭერა არ არის მათთვის სასარგებლო, რადგან ამით ისინი დაკარგავენ მასების დახმარებას. კავშირის გაწყვეტის მოწინააღმდეგეთა პოზიცია გაამაგრა აგრეთვე ოპოზიციის მხარეზე კონსერვატორთა პარტიის მრეწველთა ჯგუფების გადასვლამ, ამ ჯგუფების ინტერესს წარმოადგენს გაზეთი „დეილი ექსპრესს". მათ ეშინიათ, რომ **რუსეთთან კავშირის გაწყვეტით დიდი ზიანი მოუვა მათ ეკონომიურ ინტერესებს.** უკვე პარლამენტში ცნობილ დებატების შემდეგ 15 მაისს, აშკარა შეიქმნა ოპოზიციის გაძლიერება და მთავრობის შესუსტება, მიუხედავათ იმისა, რომ კონსერვატორების გაზეთები „მორნინგ პოსტ", და „ტაიმს"-ი ბევრი ეცადენ გაემართლებიათ კავშირის გაწყვეტა. **რუსეთის მეორე ნოტამ უფრო გააძლიერა ოპოზიცია.** მუშათა პარტიის ზოგიერთ წრეებში გაისმა ხმები, რომ საბჭოთა მთავრობა ზედმეტ დათმობებზე წავიდაო.

**არ გვსურს ომი.**

**ბერლინი** 25 მაისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარის დროს ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში ამხ. კრესტინსკიმ აღნიშნა რუსეთის განსაკუთრებული მშვიდობის მოყვარეობა, რისთვისაც რუსეთი წავიდა ყველა დათმობებზე, რაც კი შეიძლებოდა სახელმწიფოს სუვერენობის შეუბღალავად. ის ფაქტი, რომ კერზონმა კრასინთან შეხვედრის დროს სიტყვიერათ გაიმეორა ულტიმატუმი, უჩვენებს თუ რამდენ ცოტათ აინტერესებს მას საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესები.

## პრესის აზრი

**არ შეიძლება არ იცნონ რუსეთი.**

**ლონდონი.** 24 მაისი. გაზეთი „სტარ" ესალმება რა რუსეთის ნოტას, აცხადებს: „ბრიტანეთის მთავრობას არავითარი უფლება არა აქვს არ დასთანხმდეს საერთაშორისო კონფერენციაზე საზღვაო სამ-მილიანი ზონის საკითხის განსახილველად. შეურიგებლები მზად არიან ყველაფრისთვის, ვერ შეჩერდებიან ომის გაჩაღების წინაშეც კი, რომ არ იცნონ საბჭოთა რუსეთი. **მაგრამ ეს არ სურს ინგლისის ხალხს, არ შეიძლება არ იცნონ რუსეთი".**

**რუსეთის ნოტის მშვიდობიანი კილო.**

**ლონდონი.** 24 მაისი. **რეიტერის სააგენტო ნახევრად ოფიციალურად აღიარებს, რომ რუსეთის ნოტას ახასიათებს მეტად მშვიდობიანი კილო.**

**შეცდომა იქნებოდა.**

**ლონდონი.** 24 მაისი. ორი კონსერვატიული გაზეთი „ივნინგ პოსტი" და „სტანდარტ"-ი სწერენ, რომ შეცდომა იქნებოდა საბჭოთა მთავრობის პაციფისტური განცხადებისათვის სათანადო ყურადღების არ მიქცევა.

## საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გარშემო

**გულუბრყვილო გაკვირვება.**

**პარიზი.** 25 მაისი. პარიზის დილის გაზეთები გამოსთქვამენ კმაყოფილებას და ნაწილობრივ გაკვირვებასაც სამინისტროს კრიზისის სწრაფად დამთავრების გამო.

**პუანკარეს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი სისხლიანი საქმე.**

**პარიზი.** 25 მაისი. პუანკარეს გადადგომის გამო, „პტი პარიზიენი" აღნიშნავს, რომ პუანკარეს გადადგომა არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა მისაღები, რადგანაც პუანკარეს მიერ დაწყებული საქმე ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

**იწონებს მილიერანის ნაბიჯს.**

**პარიზი.** 25 მაისი. პუანკარეს გადადგომის გამო, გაზეთი „ინტრანსიჟანი" ნდობას უცხადებს მილიერანს გადადგომის მიღებაზე უარის თქმის გამო. გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობის პოლიტიკური მდგომარეობა ისევე სერიოზული რჩება, როგორიც იყო.

**პუანკარემ იგემა საკმაო მარცხი.**

**პარიზი.** 25 მაისი. საფრანგეთის სოციალისტური გაზეთები კომუნისტების საქმის შესახებ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო აცხადებენ, რომ **საფრანგეთის მთავრობას ასე დამარცხება იურისდიქციაში არ განუცდია, როგორც ამ შემთხვევაში.**

## რურის საკითხი დეპუტატთა პალატაში

**მთავრობის პოზიცია.**

**ბერლინი.** 26 მაისი. ხუთშაბათს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა რურის ოკუპაციისათვის კრედიტების მიცემის საკითხი. კამათის დროს სიტყვით გამოვიდა ორნელი, რომელმაც კრიტიკულად განიხილა პუანკარეს პოზიცია და განაცხადა, რომ მისი აზრით, გერმანიის წინადადებანი, რომელნიც მან ა. წ. იანვარში გააკეთა, მოსმენილ უნდა იქნეს.

პუანკარე ამტკიცებდა, რომ **მოკავშირეები ამ საკითხში ერთ თვალსაზრისზე იდგენ და ამიტომ არ იყო მიზეზები გერმანიის მოსასმენად.** შემდეგ პუანკარემ უარყო ის აზრი, თითქოს რურის ოკუპაციამ ხელი შეუშალა გერმანიას საერთაშორისო სესხის მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ინგლისი, თუმცა რურის ოკუპაციისაგან ყოველთვის განზე იდგა, მაგრამ ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში უმტკიცებდა საფრანგეთს თავის მეგობრობას. დასასრულ პუანკარემ სთქვა: „ჩვენ მოვიცდით იმ დრომდე, სანამ გერმანია არ შეწყვეტს წინააღმდეგობას და თუ ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა მაშინ, ჩვენ შეგვიძლია ძალდატანების ახალი ზომები მივიღოთ"-ო.

პალატამ ოვაციები გაუმართა გაუმართა პუანკარეს.

## შეუთანხმებელთა კონგრესზე

**ძნელი იქნება პასუხის მიცემა.**

**გამბურგი.** 24 მაისი. დღეს გამბურგში გაიმართა დიდი დემონსტრაცია ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ათასმა მუშამ. დემონსტრანტებმა აირჩია დელეგაცია, რომელსაც დაავალა შეეკითხოს გამბურგის კონგრესს: 1) აქვს თუ არა კონგრესს განზრახვა განახორციელოს ჰააგის საზავო კონფერენციის დადგენილებები, 2) რა ზომების მიღებას აპირებს კონგრესი ფაშიზმის წინააღმდეგ! 3) მოითხოვს თუ არა კონგრესი რურის ოლქის ევაკუაციას თუ მხარს უჭერს ვერსალის ხელშეკრულებას, 4) სურს თუ არა კონგრესს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნა.

**ძველებურად ორ სკამზე ჯდომა.**

**გამბურგი.** 24 მაისი. გამბურგის კონგრესზე მოხსენებით ახალი ინტერნაციონალის ორგანიზაციის შესახებ გამოვიდა ფრიდრიხ ადლერი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავარი საკითხები, მაგალითად—სამშობლოს დაცვის და ბურჟუაზიასთან კოალიციის, ინტერნაციონალში ღიათ დარჩება. მაგრამ ინტერნაციონალის წესდებაში შეტანილია მუხლი, რომლის ძალითაც ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი თუ მინისტრად დაინიშნა ავტომატიურად გამოდის აღმასკომის შემადგენლობიდან. ადლერმა მელანქოლიურად განაცხადა, რომ მიუხედავად ხანგრძლივი თათბირისა, არ მოხდა შეთანხმება გერმანელ და ჩეხ სოციალისტებს შორის.

**„ვერ დაინახეს შესაძლებლად".**

რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ ფრანკფურტის კონფერენციაზე არჩეულ მოქმედების კომიტეტის წინადადების შესახებ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, ადლერმა განაცხადა, რომ გამბურგის კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა ვერ დაინახა შესაძლებლად კონგრესის ისედაც დიდი დღის წესრიგისათვის ეს საკითხიც დაემატებია, მით უფრო, რომ კომუნისტებთან შეთანხმებას ნაკლები შანსები აქვს.

**ჩეხ ნაციონალ-სოციალისტების წასვლა.**

**ანგორა.** 25 მაისი. ჩეხი ნაციონალ-სოციალისტები, რომლებიც არ დაუშვეს გამბურგის კონგრესზე, წავიდენ გამბურგიდან. წასვლის წინ მათ განაცხადეს, რომ არ შეუძლიათ დათმონ თავისი ნაციონალური პროგრამა—ვერსალის ხელშეკრულების ხელუხლებლობა.

**გერმანელმა დამოუკიდებელმა სოციალისტებმა ჩეხო-სლოვაკეთში მოითხოვეს, რომ კონგრესმა გამოიტანოს დადგენილება საბჭოთა რუსეთის აუცილებლად ცნობის შესახებ და მისწეროს ყველა სოციალისტურ პარტიებს მიიღონ ყველა ზომები, რათა მათმა სახელმწიფოებმა იცნონ რუსეთი.**

**აბრამოვიჩი აქაც დამარცხდა.**

**გამბურგი.** 23 მაისი კონგრესის დღევანდელ სხდომაზე, უოხელომ მოაგონა დელეგატებს, რომ თავდება ინგლისის ულტიმატუმის ვადა და ამიტომ ურჩია დელეგატებს თავი დაიჭირონ ისეთი აზრების გამოთქმისაგან, რომელთაც რეაქცია თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. მოხსენებით საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა აბრამოვიჩი, რომლის სიტყვა სავსე იყო ჩვეულებრივი მენშევიკური ბრალდებებით. აბრამოვიჩის სიტყვას კონგრესი ცივად შეხვდა. მოდილიანიმ აღნიშნა, რომ ბოლშევიკების უდიდესი დამსახურებაა—თვითმპყრობელობის სამუდამოდ დამხობა, კომუნისტების დიქტატურა ამ ჟამად აუცილებელია, შემდეგში ის გაქრება, მაგრამ სოციალიზმის მონაპოვარნი დარჩებიან. ინგლისის და იტალიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ აბრამოვიჩის რეზოლიუცია მიუღებელია.

**ფუჭი გამოსვლა.**

**გამბურგი.** 24 მაისი. საერთო შთაბეჭდილება აბრამოვიჩის გამოსვლის შესახებ ისეთია, რომ მას სიტყვას ფუჭი გასროლის ხასიათი ჰქონდა. გამბურგის „გამოძახილი", აღნიშნავს რა აბრამოვიჩის სიტყვის ცალმხრივობას, სწერს: „ასეთ რეფერატს ადგილი არ უნდა ჰქონოდა კონგრესზე. რომელიც არკვევს მუშათა კლასის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს".

**პროლეტარიატის ბრძოლა ხელისუფლების მოსაპოვებლად აუცილებელია**

**გამბურგი.** 23 მაისი. მოდილიანიმ გაილაშქრა ოტტო ბაუერის წინააღმდეგ, რომელმაც არ აღნიშნა მუშათა კლასის ბრძოლის პრაქტიკული მეთოდები. მორალური ღონისძიებანი ბრძოლისათვის არ არის საკმაო: სოციალისტებმა უნდა იბრძოლონ მუშათა კლასისათვის პოლიტიკურ ძალაუფლების მოსაპოვებლად. კონგრესმა მიიღო ტომასის რეზოლიუცია 8 საათის სამუშაო დღის და მუშათა კანონმდებლობის დაცვის შესახებ.

**დემონსტრაცია ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ.**

**გამბურგი.** 23 მაისი. კომპარტიის „მოქმედების კომიტეტმა" მიმართა კონგრესს მოწოდებით ერთიანი ფრონტის აღდგენის შესახებ. კომიტეტი აწყობს დღეს გრანდიოზულ დემონსტრაციას ინგლისის ინტერვენციონისტული პოლიტიკის, ახალი ომის საფრთხის და ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის სასარგებლოდ.

**ფარისევლობა**

**გამბურგი.** 24 მაისი. დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა რუსეთის შესახებ არ ულაპარაკნიათ. აშკარა გახდა, რომ ანტისაბჭოთა ლოზუნგები კონგრესზე პოპულიარობით არ სარგებლობენ.

კონგრესის დღის წესრიგში დგას საკითხი იმპერიალიზმის და ვერსალის ხელშეკრულების შესახებ. თავმჯდომარეობს ვანდერველდე, რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ზავს.

აღმასკომის მუდმივი სამყოფი იქნება ლონდონი. მდივნებათ არჩეული არიან შოუ და ადლერი.

ინგლისელმა ვებბმა შემოიტანა სარეპერაციო გეგმა, რომლის თანახმად გერმანია იხდის ომით გამოწვეულ ზარალს, მაგრამ არ იხდის არავითარ სამხედრო პენსიებს. ეს ფორმულა, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგება ანტანტის ინტერესებს.

ვებბის შემდეგ ილაპარაკა გილფერდინგმა, რომელმაც მოითხოვა ყოველგვარ სამხედრო ვალებზე უარის თქმა. მან აღნიშნა, რომ სოციალიზმის შემოღება არ შეიძლება აჯანყების საშუალებით, ის დამყარდება ევოლიუციონური გზით დემოკრატიზმის ჩარჩოებში.

გილფერდინგის შემდეგ გამოვიდა ბლიუმი, რომელმაც გააკრიტიკა ვერსალის ხელშეკრულება. ბლიუმის სიტყვას მთელი კონგრესი ოვაციებით შეხვდა.

**სოციალ-შეთანხმებლებს არ შეუძლიათ ბრძოლა.**

**გამბურგი.** 24 მაისი. კომპარტიის „მოქმედების კომიტეტის" დელეგაცია გამბურგში უპირისპირებს ადლერის სიტყვას იმ დეკლარაციას, რომელიც მიუთითებს ახალი ომის საშიშროებაზე, რომლის დამალვა უდიდესი დანაშაულია დეკლარაცია აღნიშნავს, რომ შეთანხმებულად მოქმედებაზე უარის თქმა მაჩვენებელია იმის, რომ სოციალისტურ პარტიებს არ შეუძლიათ ბრძოლა, რადგან ისინი კავშირში არიან თავიანთ მთავრობებთან. კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუციები ცარიელი სიტყვებია. დეკლარაცია მთავრდება მოწოდებით ერთიანი ფრონტის შექმნისკენ საბჭოთა რუსეთზე შეტევის წინააღმდეგ.

## ლოზანის კონფერენცია

**მდგომარეობა სერიოზულია**

**პარიზი.** 23 მაისი. საფრანგეთის პრესის აზრით, **ლოზანის კონფერენციის მდგომარეობა ძლიერ გართულდა.**

**„ეკსცელსიორ"-ის ინგლისელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ სალონიკში და ათინაში მოელიან ომს, რომელიც აუცილებლად მიაჩნიათ.** „ეკლერ"-ის ლოზანის კორესპონდენტის ცნობით, საერთო განწყობილება ისე გართულდა, რომ შიშობენ კონფერენციის სხდომის გამართვას

## სხვადასხვა ამბები

**საფრანგეთი.**

**კომუნისტების გასამართლება.**

**პარიზი.** 24 მაისი. ხუთშაბათს სენატში, რომელიც ამ შემთხვევაში ასრულებს საფრანგეთის უმაღლესი ტრიბუნალის ფუნქციებს, დაიწყება კომუნისტების წინააღმდეგ საბრალმდებლო ოქმის წაკითხვა.

**ამერიკა.**

**ამერიკისათვის სასარგებლოა რუსეთთან სავაჭრო შეთანხმება.**

**ლონდონი.** 24 მაისი. ამერიკულ ჟურნალისტთან საუბრის დროს კრასინმა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ განაცხადა: „ამერიკის კაპიტალი რუსეთში ფართე ასპარეზს იპოვნის, განსაკუთრებით ციმბირში ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებით. იაპონიასთან ხელშეკრულების დადების დროს რუსეთი შეეცდება იქ დარჩეს ისეთი მუხლები, რომლებიც ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება. შემდეგ კრასინმა სთქვა: „ამერიკა ადვილათ შესძლებდა რუსეთთან შეთანხმებას რომ ამერიკის მთავრობას მოსალაპარაკებლად დაეშვა შეერთებულ შტატებში ჩვენი დელეგაცია".

# წითელ რესპუბლიკებში

**რუსეთი.**

**მოსავლის პირი.**

**დონის-როსტოვი.** 22 მაისი. მოროზოვის ოლქის მეტ ნაწილში თესვა უკვე დამთავრებულია. დათესილია ომამდის არსებულ სივრცის 50 პროცენტი და შარშანდელზე 300 მეტი. ნათესები კარგია.

**სარატოვი.** 23 მაისი. ნათესების მდგომარეობა პეტროვკისა და კუზნეცკის მაზრებში საშუალოზე უკეთესია, დანარჩენ მაზრებში—საშუალო. სარატოვის გუბერნიის ნათესების საერთო სივრცე უდრის 1.800.000 დეს. ე. ი. 400,000 დეს. მეტი, ვიდრე შარშან იყო.

**უკრაინის ნოტა ლოზანის კონფერენციის სეკრეტარიატს.**

**ხარკოვი.** 23 მაისი. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რაკოვსკიმ ლოზანის კონფერენციის სეკრეტარიატს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: „ვიზიარებთ რა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო რუსეთის მთავრობის მიერ გამოთქმულ აზრებს, უკრაინის მთავრობა უერთებს თავის პროტესტს რ. ს. ფ. ს. რ. პროტესტს იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომელნიც საერთაშორისო კონფერენციას ხდიან მახეთ საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მოსურნეების გასაჟლეტად. უკრაინის მთავრობა მთელი კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას აქცევს კონფერენციის სეკრეტარიატის იმ უცნაურ ყოფა-ქცევას, რომლის გაგება შეიძლება მხოლოდ როგორც კონტრ-რევოლიუციისათვის ხელის შეწყობა"

**სოფელთან კავშირის გაძლიერებისათვის.**

**მოსკოვი.** 24 მაისი. გლეხობასთან კავშირის გაძლიერებისათვის, მოსკოვის საბჭომ წინადადება მისცა სამაზრო აღმასკომებს თვეში ორჯერ მაინც გაემგზავრონ მაზრებსა და დიდ სოფლებში იქ აღმასკომის სესიების მოსაწყობად.

**მუშათა სახლები.**

**მოსკოვი.** 24 მაისი. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა მიმდინარე სეზონში მუშათა სახლების აშენების გეგმა. სახლების აშენება განზრახულია 3.500 კაცისათვის.

**მრეწველობის ფრონტზე.**

**მოსკოვი.** 24 მაისი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს 23 მაისის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო მრეწველობის 1922—1923 წ. საწარმოო გეგმა. ეს პროგრამა ს. მ. უ. ს. მიერაა დამუშავებული. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს სხდომაზე აღნიშნული იყო, რომ მრეწველობის საერთო ნაყოფიერება შარშანდელ წელთან შედარებით 45 პროცენტით გაიზარდა. დამუშავებულ პროდუქტების გამრავლების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს შაქრის მრეწველობას, შემდეგ კი კრახმალის, რეზინის, მარილის, ტყავის, ქიმიურ, ლითონისა და საფეიქრო მრეწველობებს. მრეწველობის სალაროს დეფიციტი წარსულ წელში 84 მილიონ ოქროს მანეთს აღწევს, რაც რემონტისა და ამმორტიზაციისათვის დიდი თანხების გადადებით აიხსნება. ეხლანდელ ბიუჯეტში სუბსიდია სახელმწიფო მრეწველობისათვის განსაზღვრულია 46 მილიონით საქონლის მანეთებში.

## რუსეთი და კონტრ-რევოლიუცია

**„იზვესტიას" წერილი.**

**მოსკოვი.** 26 მაისი. ამხ. სტეკლოვი თავის წერილში „რუსეთი და კონტრ-რევოლიუცია", რომელიც მოთავსებულია „იზვესტიაში" აღნიშნავს იმ უეჭველ კავშირს, რომელიც საზღვარგარეთელ დამპყრობ კაპიტალსა და თეთრ ემიგრაციას შორის არსებობს.

საზღვარგარეთელი თეთრგვარდიელები, სწერს ამხ. სტეკლოვი, კერზონის პროვოკაციულ ნოტის გამო, აღელდენ. შეიძლება კიდეც ვიფიქროთ, რომ კერზონმა, სანამ თავის ნოტას გამოგზავნიდა, მოახდინა რამოდენიმე ცნობების მიღება საზღვარგარეთელ ემიგრანტებისაგან. და მათთან კავშირი დაიჭირა იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო იქნება რუსეთზე მუხლის დაჭერა. ყოველ შემთხვევაში მონარქიულ გამოცემებში ალაპარაკდენ ყველა ანტი-ბოლშევიკურ ძალების გაერთიანებაზე კერზონის მიერ გაგზავნილ ნოტასთან დაკავშირებით.

„რულის" ცნობების მიხედვით ტყვილა არ გაჩნდა მონარქიულ ჯიბეებში ფულები. ჩვენ არ გაგვაკვირვებს, თუ გავიგებთ, რომ ეს ფულები ინგლისის წყაროებიდან მომდინარეობს.

ასე თუ ისე მონარქისტები შეტორტმანდნენ. ჯერ-ჯერობით მონარქისტების და სხვა ფრაქციების მოწოდებაზე მხოლოდ ყველაზე უფრო თავაღებულმა ყაჩაღებმა უპასუხეს. პარიზში გამოვიდა რომელიღაც „რუსული გაზეთი", რომლის თანამშრომელთა შორის მონარქისტებ ეფიმოვსკისთან, ოლდენბურგსკისთან და შულგინთან ერთად ჩვენ ვხედავთ ბატონ იაბლონოვსკის, კუპრინს, ბუნინს და ალექსინსკის. გასაკვირი არაა, რომ მთელი ემიგრაცია აღტაცებაში მოვიდა კერზონის ნოტით. ესერების „დღეები" ყოველდღე ბეჭდავენ დამაბეზღებელ ცნობებს საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლების შესახებ, რითაც კონფლიქტის გაღრმავება სურთ. ასევე იქცევა მილიუკოვის გაზეთი „უკანასკნელი ცნობები". ეს გაზეთი შიშით კრთის იმის წინაშე, რომ კონფლიქტი შეიძლება მშვიდობიანათ გათავდეს და არა ომით. კადეტურმა გაზეთმა წინდაწინვე იცის კერზონის ნამდვილი მიზნები და დარწმუნებულია, რომ მისი ნოტა უეჭველ განხეთქილებას გულისხმობს რუსეთსა და ინგლის შორის და საბჭოთა ხელისუფლებაზე ომით წასვლას ნიშნავს. ბატონ გესსენის „მემარჯვენე" კადეტების გაზეთი „რული" ამტკიცებს, რომ კერზონის დიპლომატიური შეტევა რუსეთში სახელმწიფო გადატრიალების გამოწვევის განზრახვას გულისხმობს ინგლისის კოლონიზატურ კაპიტალის ინტერესებისათვის. „რული" გულახდილად აღიარებს, რომ კონტრ-რევოლიუციონერებს ინგლისთან დაკავშირებული ანგარიშების მთელი რიგი აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თეთრგვარდიელები დაპირდენ ინგლისის კაპიტალს მისცენ მას შემდეგ დასარბევად რუსეთის სახალხო ქონება მონარქისტების ხელისუფლებისათვის დაბრუნების საჩუქრად.

ყველა ამის შემდეგ აშკარაა, თუ რა იმედები სცოცხლობენ, რუსეთის და ინგლის შორის განხეთქილების მუქარასთან დაკავშირებით, ჩვენი დასევდიანებული კონტრ-რევოლიუციონერების გულში. ჩვენმა კონტრ-რევოლიუციონერებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი საზღვარგარეთელ დამპყრობელ კაპიტალის აგენტები და ხელის შემწყობნი არიან, ურთიერთ ინტერესებით არიან მასთან დაკავშირებული და საერთაშორისო იმპერიალიზმის შემწეობით ფიქრობენ დაუბრუნდენ ხელისუფლებას. საჩუქრად ინტერვენციისათვის, რომელმაც ძველი წესწყობილების აღდგენისაკენ უნდა წაგვიყვანოს, ისინი საერთაშორისო კაპიტალს დაპირდენ ხელში მისცენ მას რუსეთის სიმდიდრენი და რუსეთის მშრომელთა მასების თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მაგრამ თუ კერზონი და ძმანი მათნი ამ ემიგრანტებისა და ვამყიდველების საშუალებით ფიქრობენ თავისი პოზიციის გამაგრებას, ისინი ძალიან შემცდარი არიან. თვით ამ მოღალატეებს დამსახურებული სასჯელი ელით: „დეე გაბედონ მათ საბჭოთა ტერიტორიაზე გამოჩენა, მაშინ დაინახავენ ისინი თუ რა გრძნობებით შეხვდება მათ რუსეთის ხალხი".

# უცხოეთის ცხოვრება

**საერთაშორისო კონფერენცია რუსეთის ეკონომიურად აღდგენისათვის.**

მთელი ცივილიზაციური ქვეყანა დაინტერესებულია რუსეთის ეკონომიურად აღდგენით. მრეწველთა უფრო და უფრო ფართე წრეებს აინტერესებს ეს საკითხი. ფრიტიოფ ნანსენმა, რომელიც გულწრფელად ხელმძღვანელობს რუსეთის დამშეულთა დახმარების საქმეს, კაპიტალისტურ პრესაშიც კი წამოაყენა საკითხი რუსეთის ეკონომიურად აღდგენის აუცილებლობის შესახებ. ბევრ ფილანტროპიულ საზოგადოებებს—კვაკერებისას, სხვადასხვა ქვეყნის წითელ ჯვარს და სხვებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა რუსეთის დამშეულთა დახმარების საქმეში, ახლა განზრახვა აქვთ რუსეთს აღმოუჩინონ ეკონომიური დახმარება.

„საერთაშორისო მუშათა დახმარების საზოგადოება", რომელსაც არა ერთხელ აუღია თავის თავზე დამშეულთა დახმარების მიზნით საერთაშორისო კონფერენციების მოწვევის ინიციატივა, იწვევს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთის ეკონომიურად აღდგენისათვის, რომელიც გაიხსნება ბერლინში 1923 წლის 17 ივნისს.

განსაკუთრებული მოწვევის ბარათები გაეგზავნა: რუსეთის მთავრობას, რუსეთის სინდიკატებს და კოოპერატივებს, საერთაშორისო სინდიკალურ ფედერაციას ამსტერდამში, ნანსენის კომიტეტს, კვაკერებს, წითელი ჯვრის ორგანიზაციებს ყველა ნაციონალურ და საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციებს, ყველა რუსეთში მომქმედ მუშათა ორგანიზაციებს, ამერიკის თერძების კავშირს და სხვა.

დროებით გამომუშავებულია კონფერენციის შემდეგი დღის წესრიგი:

1. რუსეთის ეკონომიური აღდგენა და ამისათვის შესაძლებელი დახმარება.—მომხსენებელი—საბჭოთა მთავრობის დელეგატი.
2. მუშაობის პროგრამა.
3. დამშეულთა და რუსეთის დამხმარე ორგანიზაციების ურთიერთ დამოკიდებულება.

განცხადებები კონფერენციაზე დიზვების შესახებ უნდა გაეგზავნოს 10 ივნისამდე „საერთაშორისო მუშათა დახმარების". სეკრეტარიატის სახელზე—ბერლინი W. 8 Unter den Linden № 11.

მოხსენებები და დოკუმენტები კონფერენციისათვის უნდა გადმოიგზავნოს არა უგვიანეს ამ ვადისა გადასაწერად და გადასათარგმნად.

**„საერთაშორისო მუშათა დახმარების" კომიტეტის მაგიერ ხელს აწერენ: ვ. მიუნცენბერგი, კლარა ცეტკინ.**

# საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

**ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.**

**ბერლინი. 25 მაისი. ბერლინში შესდგა ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის რკინისგზელებს, ტრანსპორტის მუშებს და მეზღვაურებს შექმნან ერთი კომიტეტი ომის საფრთხესთან და ფაშიზმთან საბრძოლველად. მოწოდებას ხელს აწერენ: ლოზოვსკი, ფიმენი, ვილიამსი და ანდრეევი.**

**პორტუგალია.**

**საალყო წესების წინაშე.**

**პარიზი.** 23 მაისი. გაფიცულ ტრანსპორტელებისადმი სოლიდარობის მიზნით, **ბარსელიონში მრავალმა კოოპერატივებმა გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცულია ყველა მუშების 75 პროცენტი.** აუცილებელია საალყო წესების გამოცხადება.

**ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.**

**პარიზი.** 23 მაისი. მტვირთავების საყოველთაო გაფიცვის გამო, ლისაბონის ნავთსადგურში ყოველგვარი მუშაობა შეწყდა.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

**სომხეთი**

**დასახიჩრებულთა დამხმარე კვირეული.**

**ერევანი.** 25 მაისი. 25-დან 31 მაისამდე მთელ სომხეთში გამოცხადებულია დასახიჩრებულთა დამხმარე კვირეული. ამის გამო სომხეთის ცაკის მიერ გამოშვებულია მოწოდება ყველა პარტიულ ამხანაგებისა და მოქალაქეებისადმი მოძმე—დასახიჩრებულებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

**მალიარიასთან ბრძოლა.**

**ერევანი.** 25 მაისი. სახალხო კომისართა საბჭომ დადგენილება მიიღო მალიარიასთან მებრძოლ დეკრეტის პროექტის გამოქვეყნების შესახებ. ამ მიზნისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ეძლევა 12.000 ფუთი ხორბალი.

# პარტიული ცხოვრება

**ს. ა. კომკავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მუშაობა აპრილის განმავლობაში.**

**ორგანიზაციული მუშაობა.** საანგარიშო თვეში ჩატარებულ იქნა აღრიცხვა ყველა რაიონებში, რაც საშუალებას იძლევა სწორი სტატისტიკის საწარმოებლათ. ამასთან ორგანიზაცია ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა რიცხვობრივად და გამოურკვეველი იყო თუ როგორი წრიდან გამოსული ახალგაზრდობის ხარჯზე მოხდა ეს გაზრდა, ამიტომ აღრიცხვასთან დაკავშირებულ იქნა წმენდაც. მაზრაში არის სულ 59 უჯრედი. როგორც წინა თვეში ისე აპრილის თვეშიაც უდიდესი ყურადღება ექცევა მუშათა უჯრედებს და მათზე მიმაგრებულია კავშირის საუკეთესო აქტიური წევრები. როგორც წინა თვის ანგარიშში იყო ნაჩვენები, ისე ეხლაც ყველა პასუხისმგებელი მომუშავენი არიან მარქსისტულ წრეში. პარტკომი ძველებურათ საკმაო ყურადღებით ეპყრობა კომკავშირის მუშაობას. უპარტიო ახალგაზრდობაზე კომკავშირის გავლენა დიდია, არის ლტოლვა კავშირში ჩაწერისა, როგორც მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის წრიდან, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდათა რიგებიდანაც, მაგრამ ეხლა მიღება კავშირში აღწერის გამო შეწყვეტილია. უპარტიო ახალგაზრდათა შორის წარმოებს მუშაობა კრებებისა და პოლიტ-წრეების საშუალებით.

სამაზრო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშაობას რკინის გზის ახალგაზრდათა შორის. გამოყოფილია წარმომადგენელი სამტრედიის რკინის გზის კავშირის უბანში და ადგილობრივ კომიტეტებში. დაარსებულია რკინის გზის ახალგაზრდათა პოლიტიკური წრეები. ტრანსპორტის უჯრედები ქუთაისის მაზრაში არის ოთხი, ორი სამტრედიაში, ერთი ტყიბულში და ერთი ქუთაისში; სულ ოთხივე უჯრედებში ითვლება 52 კაცი.

**პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა.** კომკავშირის სამაზრო კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო კოლეგია შესდგება სამი კაცისაგან: განყოფილების გამგისა, „წითელი ახალგაზრდობის ფურცლის" რედაქტორისა და პარტკომის აგიტპროპის გამგისაგან. კოლეგიის სხდომები სწარმოებს რეგულიარულად. კომკავშირის წევრებს ეტყობა დიდი მისწრაფება და ინტერესი სწავლისადმი. მაზრაში არსებობს 26 პოლიტიკური და 4 მარქსისტული წრე. წრეებში მუშაობა სწარმოებს რეგულიარულად კავშირის კარგად მომზადებულ ამხანაგების ხელმძღვანელობით. ქუთაისში არსებობს დრამატიული წრე შემდგარი კავშირის წევრებისაგან, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს. მთელ მაზრაში არსებობს 3 კლუბი: ქუთაისში, ტყიბულში და სამტრედიაში. საკლუბო მუშაობა გამოიხატება სხვადასხვა წრეების მუშაობაში, წარმოდგენების მოწყობაში, მოხსენებების და სხვა. სწარმოებს გაუქმებულ ეკლესიების კლუბებათ და სამკითხველოებათ გადაკეთება. ყველა უჯრედებთან, სადაც კი ეკლესიები არსებობდა გახსნილია სამკითხველოები.

სამაზრო კომიტეტი სისტემატიურათ უშვებს თავის „წითელი ახალგაზრდობის ფურცელს" ფურცელში გაშუქებულია კავშირის ცხოვრება და მომავალის პერსპექტივები. ყველა უჯრედებს ყავს კორესპონდენტები. მოწაფეთა შორის მუშაობა სწარმოებს კოლექტივების საშუალებით. მაზრაში არსებობს 6 კოლექტივი ყველა ტეხნიკუმებში. მოწაფეებში კომკავშირის გავლენა მტკიცდება. არსებობს უპარტიო ახალგაზრდათა სამეცნიერო წრე, რომელშიაც ღებულობენ მონაწილეობას მოწაფეები უფროსი კლასებისა და კავშირის წევრები. წრეს ხელმძღვანელობს კავშირის წევრები. მოწაფეები ხშირად ღებულობენ მონაწილეობას ანტირელიგიურ დემონსტრაციებში და სხვა. აი ასეთი საშუალებით დაეახლოვეთ მოწაფეობა, რაც ძალიან კარგ ნაყოფს იძლევა და მოწაფეთა სულ ახალ-ახალი კადრები ემატება ჩვენს რიგებს

# ეკონომიური ცხოვრება

**ვალიუტის კურსი თბილისში.**

(28 მაისი.)

ჩერვონცები —11,100 ათასი.
გირვან. ჩეკები —12,600 ათასი
დოლარი —2,900 ათასი
ოსმალ. ლირა —1,950 ათასი.
საბჭ. ფულ. ნიშნ. —18,75 ათასი.

**ვალიუტის ბაზრის განწყობილება.**

(28 მაისი).

განწყობილება საერთოდ სუსტია. იყო მოთხოვნილება ჩერვონცებზე—მიწოდება დიდი არ არის. დანარჩენ ვალიუტაზე ცვლილებას ადგილი არ აქვს.

**ოფიციალური გარიგებანი.**

(28 მაისი).

მოხდა გარიგება ქვა-მარილზე, ფუთი—1,300.000 ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ფრანკო-სადგური ბორჯომ-ვაგონი.

**საქონლის ბაზრის განწყობილება.**

(28 მაისი)

განწყობილება შესუსტებულია შაქრის ბაზარზე ნედლი მასალის ბაზარზე. განწყობილება გამოცოცხლდა—მატყლზე. ქიმიური საქონლის ბაზარზე მტკიცეა—შაბიამანზე.

**მუშკოოპის ფასები.**

28 მაისი.

შაქრის ფხვნილი—345 ათასი. თეთრი პური—47 ათასი. მარმარილოს საპონი—300 ათასი. „ტოლეს" საპონი—300 ათასი. ასანთი—25—ათ. ლობიო წითელი—30 ათასი. ჭრელი ლობიო—35. ყუბანის ფქვილი 1 ხარისხ.—80 ათასი გირვანქა.

**საქონლის ბაზრის ფასები.**

(საბითუმო)

ყუბანის ხორბალი—1700—1800. ადგილობრივი ხორბალი—1500—1600, ლობიო—600—900, აქულის ბრინჯი 7000—8000, ფქვილი „კრუპჩატკა"—3.700, ნატეხი შაქარი—28 ლირა, „სოსიფროსის" ჩაი—105 ლირა, კარაქი 1 ხარ.—26.000—28.000,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულტშეფობის მიღება განათლების მუშაკთა კავშირის მიერ წითელ ჯარზე

### ქუჩაში.

დილის 10 ნახევარ საათიდან რუსთაველის პროსპექტი თანდათან ივსება სხვა და სხვა რაიონებიდან მოსული განათლების მუშაკთა რაზმებით. ამავე დროს ყაზარმებიდან მწყობრად მოდიან მუსიკით საქართველოს წითელი ლაშქრისა და კავკ. ცალკე არმიის ნაწილები. ერთი მხრივ მუშათა სასახლის წინ ჩამწკრივებული ირიან განათლების მუშაკნი და მეორე მხრივ მათ პირდაპირ წითელი ლაშქრის ნაწილები.

ქუჩაში საერთო მხიარულებაა.

### პროფ-კავშირების დიდ-დარბაზში.

დარბაზი გატენილია განათლების მუშაკთა კავშირის წევრებით და წითელი არმიის წარმომადგენლებით. ჯარისკაცების მუქი ხალათები არეულია განათლების მუშაკთა თეთრ ხალათებსა და სამოქალაქო ტანსაცმელში. სცენაზე მაგიდას უსხედან განათლების მუშაკთა წარმომადგენლები ამხ. შავერდოვა, ნიკ. კიკნაძე და წითელი ჯარის წარმომადგენლები ამხ. ეგოროვი, ელენტი. საპატიო სტუმრად იმყოფება სხვათა შორის მიხა ცხაკაია.

### სხდომის გახსნა.

სხდომას ხსნის განათლების მუშაკთა კავშირის წევრი ამხ. **შავერდოვა**, რომელიც დამსწრეთ წინადადებას აძლევს ფეხზე ადგომით პატივი სცენ კავშირის ახლად გარდაცვალებულ წევრთ ილია ნაკაშიძეს და ოვანეს თუმანიანს, რომლებმაც თავი ისახელეს თავისი ჰუმანიური, კაცთმოყვარე ძმობის და ერთობის იდეების გავრცელებით ამიერ-კავკასიის ერთა შორის. შემდეგ იგი ეხება შეფობის მნიშვნელობას, ვრცლად განმარტავს მას და გამოსთქვამს სურვილს, რომ მომავალში ეს ორი დიდი კულტურული ძალა ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდენ წარმატების დ პროგრესის გზაზე.

შემდეგ ამხ. **მ. ცხაკაია** შესაფერი სიტყვით მიმართავს დარბაზს.

განათლების კავშირის ცენტრალური გამგეობის წევრი ამხ. **მელიქ-შახნაზაროვი** ვრცლად ეხება შეფობის მნიშვნელობას.

შემდეგ სიტყვას ამბობს საქ. კომ. პარტიის ცეკის სახელით ამხ. **სტურუა.** იგი აღნიშნავს დღევანდელ დღის მნიშვნელობას იმ მხრივ, რომ განათლების მუშაკნი, ის ძალა, რომელიც ამა ორი წლის წინად მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, დღეს მის მოკავშირეთ გამოდის და კისრულობს მასთან თანამშრომლობას. შემდეგ ქარ. დივიზიის პოლიტ-განათლების განყოფილების სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. **ელენტი.** შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენელი. იგი იძლევა სქემას საკულტურო მუშაობისა, რომელიც ამ არმიაზე შეფობის მიმღებმა კავშირმა უნდა აწარმოოს.

კავკასიის ცალკე არმიის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. **ეგოროვი,** არმია ცოცხალი მაგალითია გლეხისა და მუშის შეერთებისა, რომელსაც ყველაზე მეტად ეჭირვება მოვლენების და მათ გარშემო მომხდარ ამბებში გარკვევა. ამიტომ აუცილებელია მათი გათვითცნობიერება. ამ რიგათ შეფობა განათლების მუშაკთა წითელ-არმიაზე დიდათ დასაფასებელია და აღსანიშნავია.

### დროშის გადაცემა.

დიდ დარბაზში სხდომის დახურვის შემდეგ განათლების მუშაკთა პრეზიდიუმთან ერთად წითელი კომანდორები ეგოროვის მეთაურობით ღებულობენ ალლუმს. შემდეგ განათლ. მუშაკთა კავშირის სახელით ჯარს სიტყვით მიმართავს ამხ. **ნიკ. კიკნაძე** და გადასცემს დროშას კ. ცალკე არმიის პოლიტგანყოფილების უფროს ვრაჩოვს და საქ. დივიზიის პოლიტგანყ.-უფროს ელენტს. ამხ. კიკნაძის სიტყვა იფარება ერთსულოვანი ხმამაღალი **„ვაშათი".** საპასუხო სამადლობელ სიტყვებს ამბობენ ვრაჩოვი და ელენტი, რის შემდეგაც ჯარი ცერემონიალური მარშით ყაზარმებისკენ მიეშურება.

---

თუშური ყველი—7000—12000. რუსეთის ნარმა 16 ვერშ.—480—600. ადგილობრივი მარმარილოს საპონი—11.000.

### ოფიციალური ხელშეკრულებები.

26 მაისი.

გერმანიის მედიკამენტები 2.506.95 ოსმალურ ლირის თანხის (20 აპრილის ხელშეკრულება). ალდაშის ბრინჯი ფუთი 3000 ათასი ამიერ-კავკასიის ბონებით გამყიდველის ფრანკო-საწყობი. შაბიამანი ფუთი 4 მ. 25 კ., გამყიდველის ფრანკო-საწყობი. (12 მაისის ხელშეკრულება).

### საქონლის ბაზრის სულიერი განწყობილება.

26 მაისი.

ხორბალი და პურის პროდუქტები მტკიცეთაა. ფართლეულობისა დ შაქრის ბაზარზე ცოტა მოთხოვნილებაა, ნედლი მასალის ბაზარზე გაცხოველებულია მატყლის მოთხოვნილება, ნაკლებია ბამბის მოთხოვნილება და სეზონის გათავების გამო ნაკლებია ბეწვეულის მოთხოვნილებაც. ქიმიურ საქონლის ბაზარზე მტკიცეა შაბიამანის მოთხოვნილება, ნაკლებია დანარჩენის.

## სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

### საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 23 მაისს დაამტკიცა „საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს" წესდება. ის იმოქმედებს როგორც სააქციონერო საზოგადოება, რომელშიაც შევლენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიწადმოქმედების კომისარიატი, სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილება, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის რწმუნებული და მთავარი კურორტების სამმართველოები.

### საქსოვ წარმოებათა გაერთიანება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ საკითხი აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რომ საჭიროა ერთს ორგანოში გაერთიანდეს ყველა საქსოვი წარმოებანი, რომლებიც ეხლა სხვა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების განკარგულებაშია.

### ერთდროული დახმარება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მისცა ჩათახის ქარხანას ერთდროული დახმარების სახით ერთი მილიარდი მანეთი, დავალებული სამუშაოს საუცხოვო შესრულებისათვის.

### ცაგერ-ნიკორის ძირის გზის გამოკვლევა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მან გადასდოს 2.600 მანეთი ოქროთი, ცაგერ-ნიკორის ძირის გზის გამოსაკვლევად და ხარჯთაღრიცხვის შესადგენათ.

### სააქციზო საკითხის გადასინჯვა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შუამდგომლობს, რათა ახალი სააქციზო საკითხი გადაშინჯულ იქნეს, რადგანაც იგი მძიმე ტვირთად აწვება ფეხმოუმაგრებელ მრეწველობას.

## საქართველოს ტყეთა სამმართველოში

(მოქმედების მიმოხილვა).

აპრილის თვეში ტრესტი აკავშირებდა საერთო რიცხვით 24 წარმოებას. მათ შორის ქ. ტფილისსა და მისი პროვინციებისა იყო 15, ორი იჯარით იყო გაცემული და 5 დაუქმებული.

მომქმედ წარმოებათაგან რვა ხე-ტყის დამამზადებელი რაიონია. ქვემოთ მოყვანილი ცნობები ეხება მხოლოდ ხის დამამუშავებელ ქარხანას, ერთს ტფილისისას და 2-ს ფოთის სამხერხაო ქარხანას. დანარჩენების სიშორის გამო, ჯერ ცნობები არ წარმოუდგენიათ.

ზემო-აღნიშნულ 3 წარმოებას აპრილის განმავლობაში ჰყავდა 112 მუშა-ხელი და 42 მოსამსახურე, სულ 154 კაცი.

### გრეხილ ავეჯისა და ხის დამმუშავებელი ქარხანა.

ამ წარმოებებზე აპრილში დახარჯულა: ხე-ტყის მასალა—1376,63 ოთხუთხ. ვერშოკი,—ფანერი 77 ფურცელი, კლიოპკა—13 ცალი.

ამავე დროს განმავლობაში საბოლოოდ დამზადებულია: დიდი და საშუალო ზომის ავეჯი (დგამი)—10, გრეხილი ავეჯეულობა—სავარძელი და სკამი 13 დუჟინი, რბილი დგამი—52 ცალი. დამუშავებულის ღირებულება საშუალოდ უდრის 1603 მან. 30 კაპ.

### სამხერხაო წარმოება.

ტფილისის № 3 და ფოთის ორს ქარხანაში, 43 მუშა ხელის მიერ დამუშავებულია აპრილის განმავლობაში: დახერხილია (გაცემულ საქონლის გარდა) 9179 ნაჭერი; დამზადებულია ხე-ტყის მასალა 10966 ოთხკ. ვერშ.

აპრილის განმავლობაში უნდა აღინიშნოს შემდეგი დიდი შეკვეთანი: კომუნისტური უნივერსიტეტისაგან სხვა და სხვა ავეჯეულობა 7.000 მ. 30 კ. ღირებულებისა.

გაცემულია აზერბეიჯანის ნავთის წარმოების მთავარ სამმართველოზე ხელშეკრულების დადებიდან დღევანდლამდე 40,000 მან. 30 კ. მასალა. მიეცა აგრეთვე რკინის გზისა და სათბობი მასალის განყოფილებას 57,000 მანეთის ღირებულების მასალა.

რადგანაც შეკვეთათა რიცხვი მატულობს, განზრახულია წარმოების გაფართოება. ამის თაობაზე ტრესტი მოლაპარაკებას აწარმოებს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან, რათა გაფართოებულ იქნას გაერთიანებული წარმოებათა ფარგალი.

## ილია ნაკაშიძე

შაბათს, 26 მაისს, სოფელ კიკეთში თბილისის მახლობლად გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია ნაკაშიძე. ვისაც თვალყური უდევნებია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის გასული საუკუნის მიწურულიდან ჩვენ დრომდე, მას აუცილებლად ეცოდინება ილია ნაკაშიძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ღვაწლი. ილია ნაკაშიძე გულწრფელი მიმდევარი იყო რუსეთის ბუმბერაზ მწერლის განსვენებულ ლევ ტოლსტოის იდეების. ის იყო ქართველი „ტოლსტოელი", როგორც მას ხშირად კიდეც უწოდებდენ საზოგადოებაში.

საქართველოში ტოლსტოის იდეები გადმოიტანა ილია ნაკაშიძემ და სცდილობდა ცხოვრებაში მათ გატარებას. ის ძველ ქართველ მოღვაწეებში გამონაკლის შეადგენდა და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა შესაძლებლად მიაჩნდა. ხალხოსნურ მიმართულების გულწრფელ მიმდევარს არც შეეძლო სხვანაირათ მოქცეულიყო, მუშურ-გლეხური ხელისუფლება ხომ ხალხის წიაღიდან გამოსული ხელისუფლებაა და ვისაც სწამს მშრომელი ხალხი უნდა იწამოს მისი მთავრობაც.

ილია ნაკაშიძის მრავალი წერილები გაფანტულია ძველ ჟურნალ-გაზეთებში ზოგიერთი მისი ნაწერები ცალკე წიგნებათ არის გამოსული. როგორც ამ ნაწერებიდან, ისე მისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან და ერთა სოლიდარობის ქადაგებიდან აშკარად სჩანს მისი სპეტაკი პიროვნება. **ვ.**

## საკურორტო სამმართველოში

### შავი ზღვის სანაპიროების კურორტები.

საკურ. მართველობის უწყებაში მყოფ შავი ზღვის კურორტების აღსადგენად, კოლლეგიამ დაადგინა საჩქაროთ გადასდოს ამ საჭიროებისათვის ხე-ტყის მასალა, რისთვისაც დაევალა სავაჭრო სამრეწველო განყოფილების გამგეს მიიღოს სასწრაფო ზომები. შავი ზღვის კურორტებისთვის საჭირო ხე-ტყის გადასაზიდათ სამმართველომ გადასდო ნახევარი მილლიარდი მანეთი.

### სესხი ავადმყოფების შესანახად

კოლლეგიამ დაამტკიცა პროექტი ავადმყოფების შესანახად 56.700 ათას მან. ოქ. კრედიტის გახსნის შესახებ.

### სავალდებულო სანიტარული დადგენილებანი

კოლლეგიამ დაამტკიცა სამკურნალო სასანიტარო განყოფილების მიერ საქართველოს სახელმწიფო კურორტებზე სახელმძღვანელო გამომუშავებული სავალდებულო სანიტარულ დადგენილებათა პროექტი. მანვე დაადასტურა სამკ. სანიტ. განყოფილებისთვის კურორტებზე მყოფ ავადმყოფებისათვის შემუშავებული სავალდებულო წესები.

### სამკ.-სანიტ. განყოფილებასთან სანიტარული ექიმის თანამდებობის დაწესება.

საკურორტო მთავარ სამმართველოს სამკურნალო განყოფილებასთან კოლეგიამ დააწესა სანიტარულ ექიმის თანამდებობა, რომლის ამსრულებელი იქნება ამავე დროს ბორჯომის საკურორტო სამმართველოს სანიტარული ექიმიც და რომელსაც დაემქვემდებარება სახელმწიფო კურორტების მთელი სანიტარული პერსონალი.

### სანიტარული კომისია

ყოველ აგარაკზე სანიტარული ექიმის ხელმძღვანელობით და თავმჯდომარეობით არსდება სანიტარული კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ ადგილ. აღმასკომის, პარტკომის პროფ-კავშირის და რკინის გზის თითო-თითო წარმომადგენელი.

## ქრონიკა

### შრომის კომისარიატში.

— **ჩათახის მუშები წითელ დაფაზე.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს შრომის სახალხო კომისარის წინაშე, რათა ჩათახის თუჯის ქარხნის ყველა მუშა, როგორც შრომის გმირები რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში თავიანთი თავგანწირული შრომით აამუშავეს სრულიად განადგურებული ჩათახის—„შავი ოქროს" ქარხანა. შეტანილ იქნას წითელ დაფაზე.

— **შტატების შემცირება.** ა.-კ შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამმართველომ თანახმად ა-კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საშტატო კომისიის დადგენილებისა, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების თანამშრომელთა შტატი შემცირა 32 პროცენტით.

— **შუამდგომლობა.** აჭარის შრომის განყოფილების კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა შრომის სახ. კომ. რწ. საქ. სამმართველოს წინაშე, რათა აღნიშნულ განყოფილებას გაეხსნას სათანადო კრედიტი ჯამაგირების მომატების გამო.

### განათლების კომისარიატში.

— **ბრძანება.** განათლების კომისარიატმა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს და განყოფილებებს დაუგზავნა ბრძანება: საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუციის მე 6 მუხ. და აგრეთვე საქ. მთავრობის განკარგულების თანახმად, რომლის ძალით საქ. რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ქართული ენაა გამოცხადებული, წინადადება გეძლევათ, რომ საქმეები და ყოველგვარი მიწერ-მოწერა რესპუბლიკის ადგილობრივ ორგანოებთან აუცილებლად აწარმოოთ ქართულს ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

— **კონფერენციის გადადება.** სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის, ანუ დაწესებულებების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც უნდა გახსნილიყო 30 მაისს, გადაიდო. კონფერენციის გახსნის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

### კრებები და მოხსენებები

— 30 მაისს ოთხშაბათს უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მოხდება საზეიმო სხდომა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა" გარდაცვალებულ პროფ. რენდგენის საპატივცემლოთ. დღის წესრიგი: 1) პროფ. გ. გ. ლამბარაშვილის შესავალი სიტყვა, 2) პროფ. მ. დ. წინამძღვრიშვილი: ლეიკამიის წამლობა რენდგენის სხივებით. დასაწყისი 8 ს. შესვლა თავისუფალია.

სხვ და

### შრომის ბირჟაში.

უმუშევრები. მაისის 26-ს შრომის ბირჟაში ჩაწერილა 38 უმუშევარი, გაიგზავნა სამუშაოზე 50, აქედან 34 მამაკაცი, 16 დედაკაცი.

### სხვა და სხვა.

— **გორის აღსადგენათ.** გორის აღმდგენელ მთავარ კომიტეტის ცნობით კომიტეტის დაარსებიდან დღემდე შემოწირულების სახით შემოსულა სულ 2,500 მან. ოქროთი და 500 მილიონი ამიერ-კავკასიის ბონებით, შემოწირულების მიღება გრძელდება.

— **„ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეული"-ს გამტარებელ ცენტრალურ კომისიისაგან.** წინადადება ეძლევა დაწესებულებებს და პირებს, რომლებიც ომში დასახიჩრებულთა სასარგებლოდ აწარმოებდენ გადარიცხვას, ან აგროვებდენ შემოწირულებას—ორი კვირის განმავლობაში შემოიტანონ ყველა ფულები საქართველოს სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტში (ბარიატინსკის ქ. № 5) წერილობითი დანართით „ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეული"-ს გამტარებელ ცენტრალურ კომისიის სახელზე.

**ცენტრალური კომისია.**

### შემთხვევები.

#### ქურდების შეპყრობა.

— სისხლის სამართლის მაძებარი მილიციის მიერ შეპყრობილია ალექსი და ვლადიმერ ბედიაშვილები და ლევან გელაშვილი ტყავის ქარხნიდან სისტემატიურ ქურდობის ჩადენისათვის.

— შეპყრობილია ახალკაციშვილი სისტემატიური ჯიბგირობისათვის.

— მაძებარმა მილიციამ დააპატიმრა დავით ხითაროვი, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობასა და მოქალაქეთაგან ფულების და სხვა და სხვა ნივთების დატყუებაში. ხითაროვი დანაშაულში გამოტყდა.

— მილიციისაგან დაკავებულია ტიგრან ბაღდასაროვი, რომელმაც ავჭალაში ჯანადოვს უღელი ხარი მოჰპარა.

— დაპატიმრებულნი არიან სისტემატიური ქურდობის წარმოებისათვის ეირ კიარი ჰუსეინ ოღლი, ელენა მაკაროვა, ფედოსია ანისიმოვა, ლავრინენკო, ახმედ კიასიმ-ოღლი.

— შეპყრობილია მასკოტოვი, რომელსაც ბრალი ედება ამ.-კ. საგანგებო კომიისიის თანამშრომელთა კოოპერატივიდან სხვა და სხვა საქონლის ქურდულად წაღებაში. მასკოტოვი დანაშაულში გამოტყდა.

— შეპყრობილია საიანოვი, რომელმაც ყალბი ჩეკებით სასურსათო კომისარიატიდან დიდ-ძალი ნაქონელი გაიტანა.

## ხელოვნება

### ხორეოგრაფიის და პლასტიკის საღამო სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე.

ხორეოგრაფიულ ხელოვნების ახალ მიმართულების მიმდევრებმა და ამ ხელოვნების სტუდიის დამაარსებლებმა სბრული და ლეონ აზარპეტიანებმა გამართეს თავიანთი საღამო, სადაც თითქოს სტუდიის მთელი წლის მუშაობის გამოცდები სწარმოებდა. საღამოში მონაწილეობას ღებულობდენ განსაკუთრებით მოწაფე ვაჟები და ქალები, როგორც მოზრდილები, ისე ბავშვებიც, და ბევრმა სტუდიელებმა დაგვანახვეს, რომ ისინი უკვე მომზადებული ამსრულებლები არიან როგორც დამახასიათებელ ცეკვის, ისე მთელი სცენებისა ახალი პლასტიკისა და ხორეოგრაფიის სფეროდან.

წინეთ, როდესაც ბალეტი, როგორც ხელოვნების ცალკე ნაწილი, მხოლოდ დიდი, სატახტო ქალაქების თეატრების სცენაზე იდგმებოდა, და როდესაც განსაკუთრებით კლასიკურ ბალეტს სდგამდენ—ეს ხელოვნება სანახაობითი ხელოვნება იყო.

ეხლა სულ სხვაა. დიდებულმა აისედორა დუნკანმა მთელი რევოლიუცია მოახდინა ბალეტის ხელოვნებაში: კლასიკურ ბალეტის ყველა პირობები უკუგდებულ იქნა და ბალეტის სფეროში რეალური მიმართულება დამკვიდრდა.

ძველი ცეკვისა და პლასტიკის მიმდევარმა, რომლის ნიმუშები ძველი სახელმწიფოების ნაშთების გათხრის დროს ნაპოვნ საგნებიდან და ძველი ეგვიპტისა და ასურელების სახელმწიფოებრივ და სახლის საჭიროების საგნებიდანაც სჩანს, აისედორა დუნკანმა პირველმა შემოიღო რეალიზმი ბალეტში თანამედროვე სცენაზე. ამ დიდებულ ამერიკელ მოცეკვავე ქალის სკოლის მიხედვით—ბალეტის ხელოვნება დაუშორებლივ თან მისდევს მუსიკას, ესტეტიკას და დრამატიულ ხელოვნებას—ბალეტის ხელოვნება უნდა ანხორციელებდეს აზრის სილამაზეს, პლასტიკას, ის რეალური, და ხანდახან სიმბოლიურიც კი უნდა იყოს.

დუნკანმა, როგორც ძველი კულტურული ხალხების მიმდევარმა, გააცოცხლა ადამიანის ტანის სილამაზის კულტი, იმან უარყო ყველა ბურჟუაზიული პირობანი და ის სცენაზე რეალურ და არა პირობით სილამაზეს ანსახიერებდა. მის მიმდევრებათ რუსულ სცენაზე ითვლებოდენ ფოკინი (პეტერბურგი) დი მორდკინი (მოსკოვი) და შემდეგ ამ მიმართულებამ ყველგან იწყო გამარჯვება.

ამგვარ ხელოვნების დამნერგავებად თბილისში ითვლებიან ცოლქმარი აზარპეტიანები; კლასიკური ბალეტი ეხლა წარსულს გადაეცა და მათგან ჩაიკოვსკისა და გლაზუნოვის ბალეტიღა თუ იდგმის მხოლოდ.

ამით მე არ მინდა ვსთქვა, რომ ხელოვნების ახალ მიმართულებას მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ტანის სილამაზის კულტი სწამდეს. უმღერიან რა ახალ ხელოვნებაში ულტრა-რეალურ სილამაზეს,—ამ სკოლის მიმდევრები შორის არიან გრძნობიერების თაყვანისცემიდან, მათი სილამაზე—ხელშეუხებელი სახისაა, რეალიზმთან ერთად კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებებიც სრულდება მაგალ. ბეტხოვენის სიმფონია, შოპენის ფორტეპიანოს ნაწარმოებები და სხვა.

აზარპეტიანის სტუდიის საღამოზე ძველებურ ცხოვრებიდან, კლეოპატრასა და ანტონის ეპოქიდან ამოღებული პანტომიმა იყო დადგმული. პანტომიმას თან სდევდა დამახასიათებელ ცეკვათა მთელი რიგის შესრულება; ყველა ამსრულებლებმა დიდი მუსიკალობა, პლასტიურობა და მიმიკა გამოიჩინეს. განსაკუთრებით კარგათ (სრულებით არ ჰგავდა მოწაფის შესრულებას) იქნა შესრულებული ამუნისა, არსინოის და კლეოპატრას როლები, საუცხოვოდ იქნა შესრულებული აგრეთვე ცეკვა გველებთან, რომელიც განსაკუთრებულ ტეხნიკას მოითხოვს სუსტი იყო ანტონის შემსრულებელი მას არც პლასტიკა და არც მიმიკა ხელს არ უწყობდა.

ცალკე ნომრებიდან აღვნიშნავ რახმანინოვის პოლიშინელის შესრულებას, მხოლოდ მეორე ნაწილი უფრო ნელი ტემპით უნდა იქნეს შესრულებული; ის ჯამბაზის სევდიან ფიქრს წარმოადგენს თავის ბედისწერაზე. ბეტხოვენის დარვიშების მარში სწორად ვერ არის გაგებული—აქ სწორედ tempo di marcia-ს დაცვაა საჭირო. მსუბუქად ცეკვავს გრიგის ვალსს რომელიღაც სრულიად პატარა და მეტად ნიჭიერი მოწაფე ქალი. ტემპერამენტით და გატაცებით იქნა შესრულებული ვიგოდსკის სიხარულის ცეკვა.

საერთოდ სტუდიამ დიდი და სერიოზული მუშაობა გამოიჩინა და ჩვენც მივესალმებით ამ მუშაობას არა მარტო ესტეტიური, არამედ უტილიტარული თვალსაზრისითაც, რადგან ის ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ დ აღზრდას.

მუსიკოსი

---

— **ილია ნაკაშიძის გარდაცვალება.** 26 მაისს, სოფ. კიკეთში უეცრად გარდაიცვალა დ მსახურებული საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია ნაკაშიძე.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება მსახიობ აბელაშვილის საბენეფისოდ „ელექტრა", თარგმანი შალვა დადიანის.

— **ალ. ყაზბეგის „მოძღვრის" გასამართლება.** ხუთშაბათს, 3 მაისს სახ პირველ კონსერვატორიაში მოხდება ყაზბეგის „მოძღვარის" გასამართლება. გასამართლებაში მონაწილეობენ ცნობილი ლიტერატურული ძალები.

— **შიო მღვიმელის იუბილე ბათომში.** ხუთშაბათს, 31 მაისს, ქალაქ ბათომში გაიმართება დამსახურებულ საბავშო მწერლის შიო მღვიმელის 25 წლის იუბილე.

## პროვინციაში

### სუფსა.

კვირას, 20 მაისს სუფსის კლუბში გაიმართა საბავშვო საღამო. საღამოს მომწყობი და ინიციატორები იყვნენ თვით მოსწავლე ახალგაზრდობა. წარმოადგინეს: „სიკვდილი ჩრდილოეთში" და „უბედური დღე". მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს პირველად უხდებათ სცენაზე გამოსვლა, მათმა მოხდენილმა თამაშმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მე აქ არ შევუდგები მათ მიერ როლების შესრულების შეფასებას. ის ფაქტი, რომ 12 14-ტი წლის მოწაფეებს ჩვენ სცენაზე ვხედავთ, რაც რამოდენიმე წლის წინედ მათთვის მიუწვდომელი იყო, მაშინ მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ რა არის სცენა, მოწმობს, რომ ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარებისათვის ფართე პერსპექტივაა გადაშლილი. საღამო გაიხსნა ინტერნაციონალის სიმღერით, რაც თვით მოწაფეთა მომღერალ გუნდმა შეასრულა. მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა საზოგადოებას სუფსის რაიონის ახალგაზრდათა ინსტრუქტორმა ამხ. დ. კომახიძემ, რომელმაც აღნიშნა კომკავშირის ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობა უპარტიო მოზარდთაობასთან, და რომ ისინი მომავალში შეკავშირებულნი სიძლიერით გამოვლენ კულტურულ ფრონტზე. წარმოდგენის გათავების შემდეგ ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები, ზოგმა თავიანთი ნაწარმოები და ზოგმაც ჩვენი ცნობილი პოეტების. საღამოს ეტყობოდა კარგი ხელმძღვანელის ხელი. მესამე განყოფილებაში ბავშვების მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა, სტუდენტ პავლე ხუნტიას ხელმძღვანელობით. რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზედ. ჩვენ ვუსურვებთ სუფსის მოზარდ თაობას და მის ხელმძღვანელებს შემდეგშიც ნაყოფიერ მუშაობას

ა. თოდრია.

# მუშათა ცხოვრება

## სალამი მომავალ თაობას.

(24 მაისის ბავშვების დღესასწაულის გამო).

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს, როგორც მუშის ოჯახის შვილი, მოვიგონო ჩემი მწარე წარსული და იმედით მივეგებო მომავალს. მე მსურს ავღნიშნო თუ როგორ სწარმოებდა წარსულში ღარიბ ბავშვების აღზრდა და პირველ ყოვლისა შევეხები ჩემ თავს. მე ვიყავი ღარიბი ოჯახის შვილი. ჩემს მშობლებს არ მოეპოვებოდათ დღიური გამოსაკვები პურიც. ჩემთვის არავითარი სწავლა არ არსებობდა. როდესაც მე შემისრულდა რვა წელი, დამებადა სურვილი წერა-კითხვის შესწავლისა და ამ მიზნით მივმართე ჩემს მშობლებს, მაგრამ თხოვნა არ შემისრულდა და პასუხად მივიღე მხოლოდ ის, რაც ღარიბ ოჯახს ეკუთნოდა: „სწავლას, შვილო, ფული სჭირდება, წიგნები, ჩაცმა, დახურვა და ბევრი ამისთანები! ჩვენ, შვილო, დღეს მაგ ბედნიერებას მოკლებული ვართ; დღეს ჩვენთვის არ არსებობს სწავლა და განათლება; დღეს ჩვენთვის საჭიროა, შვილო, შრომა და შრომა! გამოსაკვებად მიგცემთ სადმე შეგირდად და ორიოდე შაურს მოგცემენ და ეს კარგია ჩვენთვის".—აი ეს პასუხი მივიღე მე უსწავლელი დედისგან.

აი კიდევ ერთი სურათი.

ჩვენს გვერდით სცხოვრობდა ერთი მუშის ოჯახი. მათ ყავდათ ოთხი შვილი. ერთი მათგანი სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ არ გაუვლია ორ წელს, რომ მუშის ბავშვი ქუჩაში გამოაგდეს „როგორც უვარგისი". მიზეზი კი შემდეგი იყო: პირველად ის, რომ სწავლის გადასახადი მას დროზე ვერ შეეტანა, მეორე—ის, რომ წიგნებს და რვეულებს დროზე ვერ აწვდიდნენ მას მისი მშობლები, მესამე ყიდვა მან ფორმის ტანთსაცმელის—ის, რომ ვერ მოახერხა და სხვა...

ამგვარად ჩვენ მუშის შვილები უსწავლელნი ვრჩებოდით, ყველა ნასწავლი ჩვენ დაგვცინოდა და ზიზღით გვიცქეროდა. მართლაც რას წარმოადგენდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრება ან რაში მდგომარეობდა ჩვენი ბედნიერება. ღარიბ-ღატაკნი, ფეხ-შიშველ-ტან-შიშველნი დასვრილ ტალახიანი. როდესაც ცოტა წამოვიზარდე და ცხოვრებას გავეცანი, მე ვაცნობე ჩემი გულის დარდები საუკეთესო მუშათა კლასის მოჭირნახულე ამხანაგებს, რომელთაც მირჩიეს წერა-კითხვის სწავლა. მეც სიხარულით მივეგებე მათ რჩევას და დავიწყე სწავლა ანბანისა „ა"-ზე „აკოშკა" დავხატე, „ბ"-ზე „ბოჩკა", „ვ"-ზე ვაშლი, რომ ადვილად შემესწავლა ასოები. ამ რიგად ტანჯვა-ვაგლახით შემისრულდა ჩემი ბავშვური საწადელი. დღეს კი საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მშრომელთა ბავშვებს თავისუფალი, უფასო სწავლა-განვითარების საშვალება, და ამ მონაპოვარის მოსპობას ვერავინ შესძლებს. ამაში ჩვენ სამუდამოდ დაგვარწმუნა მიმდინარე წლის 24 მაისის საქართველოს ბავშვების საზეიმო დემონსტრაციამ. იმედია, რომ აწი უფრო მეტი ყურადღება, ზრუნვა და სიყვარულიც მიექცევა ჩვენს ბავშვებს.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს ბავშვებს!

გაუმარჯოს მათ წინამძღოლებს!

**მუშა გ. მ—შვილი.**

## ამიერ-კავკ. რკინის-გზელებში.

14 ამა მაისს შესდგა ამიერ კავკასიის რკინის-გზის სამმართველოში—აქაური მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. ამ კრებაზედ მუშა-მოსამსახურეებმა მოისმინეს ამხ. ვირაპის მოხსენება საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ბრიტანეთის მთავრობის ნოტისა ამხ. ვოროვსკის მოკვლასთან დაკავშირებით. გამოტანილ რეზოლიუციაში—მუშა-მოსამსახურენი აღნიშნავენ შემდეგს: „ბრიტანეთის მთავრობის ნოტა არის კაპიტალისტების პროვოკაციული გამოსვლა, ჩადენილი ყოფილ მეფის მევალეების კარნახით. ამ ვაჟბატონების სურვილია—შექმნან განხეთქილება საბჭოთა რუსეთსა და ევროპას შუა. ამავე დროს, ამ ნოტის აზრია საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტების—საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს შებღალვა.—ბრიტანეთის მთავრობის ასეთი ნაბიჯი არ შეეფარდება ამავე ქვეყნის პროლეტარულ მასების და ფართო წრეების ინტერესებს.

ამით აიხსნება არა მარტო მათი მუშების, არამედ ბურჟუაზიულ ლიბერალების პროტესტები. ჩვენ—მოუწოდებთ ყველა ქვეყნების მუშებს—თავიანთი გამოსვლებით ხელი შეუშალონ ინგლისის ბურჟუაზიას ამ ბნელ საქმეში. ინგლისის მთავრობა არის მუშათა კლასის დამჩაგვრელი და საბჭოთა სახელმწიფოს არა კეთილ მსურველი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თუ საერთაშორისო კაპიტალი მოინდომებს საბჭოთა რუსეთზედ თავდასხმას და ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევას, ჩვენ ყველა—როგორც ერთი კაცი, გულმკერდით დავიცავთ პროლეტარულ სამშობლოს. ჩვენ დავანახვებთ მათ, რომ გვაქვს ძლიერი ძალა.

გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციას და მუშათა დიქტატურას!

ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნების მუშებს!

**მუშკორი** [illegible]

## საღამო-მიტინგი მეკოლოფეებში.

19 მაისს საღამოს 8 საათზედ ყველა ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი მოგროვდენ ქარხნის კლუბში. იყვნენ აგრეთვე მუშები სხვა ქარხნებიდანაც. მესამე ზარის შემდეგ კლუბი მთლად გაჭედილი იყო ხალხით.

ქარხნის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა გახსნა მიტინგი. ჩვენმა ადგილობრივ მომღერალთა გუნდმა იმღერა „ინტერნაციონალი", რის შემდეგ ამხ. კაზაროვმა მოკლე სიტყვით დაახასიათა—ამ საიუბილეო საღამოს მნიშვნელობა. შემდეგ გამოვიდნენ მოხსენებით რამოდენიმე ჩვენი ქარხნის მუშები ქართულ და რუსულ ენებზედ, ორატორები თავის სიტყვებში აღნიშნავდენ ჩვენი ქარხნის დაარსების ისტორიას, და ხაზს უსვამდენ, რომ დღევანდელი საღამო არის მაჩვენებელი, როგორც მუშების კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის, აგრეთვე ქარხნის წინმსვლელობის.

შემდეგ მუშებმა წაიკითხეს თუთუნის ქარხნის „პროლეტარის" მუშებისაგან გულითადი მისალმებითი წერილი. ისინი მგრძნობიარე სიტყვებით უგზავნიან ძმურ სალამს ჩვენი ქარხნის მუშებს და უსურვებენ მუშათა კლასის თავისუფლების და ზეიმის სიმბოლოს—წითელ დროშის მტკიცედ დაკავებას, როგორც ეს იყო დღემდე,—უსურვებენ აგრეთვე წინსვლას ჩვენ ქარხანას. კომუჯრედში მომუშავე ამხანაგების სახელით ესალმება მუშებს ამხ. ვიტტე.

„გემო-კვების" კავშირის სახელით ამხ. მელიქსეტოვი, რომელიც აღნიშნავს საერთოდ მუშათა კლასის გამარჯვების მიღწევას და კერძოდ მეკოლოფეთა მუშებისას; უსურვებს ამას მომავალ მუშაობაშიც.

ამის შემდეგ მიტინგი დაიხურა და გაიხსნა საღამო. საღამოზედ იყო წარმოდგენილი სხვა და სხვა მოკლე პიესები; შესრულებულ იქნა მრავალი სიმღერები, როგორც გუნდით, ისე „სოლოთი", რამაც დასტოვა შესამჩნევი შთაბეჭდილება დამსწრე საზოგადოებაზე.

**მუშკორი როტინოვი.**

## მუშათა ქრონიკა

### მუშათა აუდიტორია ჩათახის ქარხანაში.

ჩათახის ქარხანაში მოწყობილია მუშათა აუდიტორია ბენო კალანდაძეს სახელობაზე. აუდიტორიაში მოთავსებულია სცენა დეკორაციებით და მშვენიერი ფარდით.

### თეატრი ჩათახის მუშებისათვის.

ახლო მომავალში დანიშნულია ჩათახის ქარხნის თეატრის [illegible], მზადდება დასადგმელად ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ".

### მუშა-მსახიობ რომ. სალაყაიას საღამო.

8 ივნისს სახალხო სახლში გაიმართება მუშა-მსახიობ რომანოზ სალაყაიას საღამო.

### მუშათა ცენტრალურ კლუბში.

მუშათა ცენტრალურ კლუბში კვლავ გრძელდება წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია სკოლაში, რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. გრძელდება აგრეთვე ჩაწერა მუშებისა პირველ საფეხურის სკოლაში 6 თვიანი კურსით—მუშათა ფაკულტეტისათვის მოსამზადებლად

აქვე პირველ ივნისიდან იხსნება ქართული ენის კურსები.

### მუშ. კლ. ბაღის გახსნა.

მუშათა ცენტრალური კლუბის ბაღის გახსნა დანიშნულია ივნისის პირველ რიცხვებში.

### ქალ. თბილისის გერმანულ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეები.

გერმანულ საავადმყოფოს 48 მუშა-თანამშრომლებმა განაცხადეს რა სურვილი მედ.-სან. შრომ. მუშაკთა კავშირში ჩაწერისა, თხოვნით მიმართეს აღნიშნულ კავშირს, რათა მან გააცნოს ისინი ჩვენი პროფ.-ორგანიზაციების წესდებას და ფუნქციებს.

### შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

შრომის კანონების დარღვევისათვის შრომის ინსპექტორმა ოქმი შეუდგინა და პასუხის გებაში პისცა შემდეგი ვაჭრები: **ლეონ აირუმოვი** (ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონი—წყნეთის ქ. № 10). სამკერვალოში მუშაობდენ 2 ხელოსანი, რომელნიც რევიზიის დროს დაზღვეულნი არ აღმოჩნდენ; **შალვა გარუცალაშვილი**—(ფეხსაც. სამკერვალოს პატრონი—წყნეთის ქ. № 16), რომელთანაც მუშაობდა 2 მოზარდი. ეს უკანასკნელები დაზღვეულნი არ იყვნენ. **სიმონ სტეფანოვი** (ფეხსაც. სამკერვალოს პატრონი. სამიჯნო ქ. № 17), რომელთანაც მსახურობდა 3 წლის განმავლობაში 12 წლის ივანე დალმაზოვი. აღნიშნული ბავშვი მუშაობდა ყოველ დღიურათ დ წესებულ ნორმაზე მეტ დროის განმავლობაში, ამის გარდა აქვე მუშაობდა ერმალოზ ცერაძე, რომელიც დაწესებულ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს ღებულობდა. არც ერთი მუშათაგანი დაზღვეული არ აღმოჩნდა და ნათ არც საანგარიშო წიგნაკები ქონდათ.

### სოფ. პერევისა (შორაპ. მაზრა).

20 მაისს მოწვეულ იქნა პერევისის თემის მცხოვრებთა მიტინგი, დაესწრო მრავალი ხალხი. მიტინგი გახსნა აღმასკომის თავმჯდომარემ ივ. დარბაიძემ.

მოხსენება გააკეთა ამხ. დ. მაჭარაშვილმა ინგლისის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის ვერაგულად მოკვლის შესახებ, გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, პერევისის თემის მუშებმა და გლეხებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვოროვსკის ჯალათურათ მოკვლისა და ინგლისის თავხედურის ნოტის შესახებ, ღრმა აღშფოთებას გამოვსთქვამთ მსოფლიო იმპერიალისტების წინააღმდეგ და მასთან დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მშრომელი მასსა არ მისცემს მათ ნებას ყაჩაღურ ზრახვების განხორციელებისას".

გრ. კუპიტაძე

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### ბრძანება.

**სრულიად საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ დანიშნულია ამხ.

ა. გეგეჭკორი.

ს. ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარე
მიხა ცხაკაია.
ცაკის მდივანი პ. საბაშვილი.
ქ. ტფილისი,
მაისის 28. 1923 წ.

### დადგენილება № 19.

**ა.|კ. შრომის სახ. კომ.-ის საქ. რწმუნ. სამმართველოსი 26 მაისი 1923 წ.**

ა.|კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 17 მაისის თარიღით გამოქვეყნებულ დადგენილება № 52-ის თანახმად, ა.|კ. შრომის სახ. კომ. საქართვ. რწმუნ. სამმართველო ამით აცხადებს, რომ ქალაქ ტფილისში მაისის თვის მეორე ნახევრისათვის აღრიცხულ პროდუქტთა (სახელმწიფო ხელფასის საბიუჯეტო ინდექსის) ღირებულება განისაზღვროს 20.396.000 მან.

საქონლის ფასის გამომხატველ მანეთის ღირებულება ამავე დროსათვის განისაზღვროს 2.040.000 მან.

ა.|კ. შრ. სახკომის საქ. რწმუნებულის
მოადგილე ა. მიქაძე.
საერთო საორგ. განყ. გამგე
ლ. ქურდოვანიძე.

### წესები.

**გადასახადის აკრებისა, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქის გარეთა ადგილებში იმ სავაჭროებზე, სადაც ადგილობრივ ჰყიდიან ყოველგვარს საჭმელ-სასმელს (ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით, განყოფილება—II, თავი—III, მუხლი—6, პარაგრაფი—5 (ქალაქები) და პარაგრაფი 4 (ქალაქ გარეთი ადგილები).**

1. ადგილობრივად საჭმელ-სასმელით მოვაჭრე დაწესებულებათათვის დაწესებული გადასახადი უნდა დაედოს: ყველა რესტორანს, ტრაქტირს, ლუდხანას, სამზარეულოებს, ბუფეტებს, სახაშეებს, დუქნებს, სასაუზმო ადგილებს, საჩაიებს, ყავახანებს, კიოსკებს, მინერალურ წყლით და სხვა სასმელით მოვაჭრე ფარდულებს, ბაკებს, მორთულ ოთახებს, სადაც საჭმელებს აძლევენ და საერთოდ ყველა სავაჭროს. სადაც ადგილობრივად ჰყიდიან საჭმელ-სასმელს.

2. წინა მუხლში აღნიშნულ სავაჭროებისთვის გადასახადის გადახდევინება სწარმოებს სახელმწიფო სარეწაო გადასახადზე საპროცენტო მომატებათა ზედშეკვეცით შემდეგის რაოდენობით:

ა) არა უმეტეს 100 პროც.-სა როგორც უკვე აღებულ სარეწაო მოწმობის ფასისა, ისე ფუფუნების საგნების ვაჭრობის უფლების მისაღებად დაწესებულ დამატებით გადასახადისა და ბ) არა უმეტეს 25 პროც.-ისა დამატებით გადასახადის ჯამისა (საპროცენტო გადასახადისა).

შენიშვნა: ამ მუხლში მოხსენებული შენაკვეცები სარეწაო გადასახადზე უნდა გადახდეთ იმ შენაკვეცთა გარეშე, რომელიც დაწესებულია საერთოდ ყველა სავაჭრო და სამრეწველო წარმოებათათვის და პირადი სარეწაო სამუშაოსთვის (1923 წლის აპრილის 2-ს დეკრეტის განყოფილება—II, თავი—III, მუხლი—3 (პარაგრაფი ა).

3. მე-2 მუხლის ა და ბ პარაგრაფებში ნაჩვენებ ფარგლებში შენაკვეცთა რაოდენობას აწესებს აღმასკომი, რომელიც ვალდებულია ეს რაოდენობა აუცილებლად აცნობოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს ერთის თვით მაინც ადრე სარეწაო მოწმობათა გაცემამდე და დამატებით გადასახადის ჯამის განსაზღვრამდე.

4. აღმასკომებს უფლება ეძლევათ, წარმოებანი ჯგუფებად გაჰყონ მათის ხასიათის მიხედვით და თვითეულისთვის შენაკვეცთა საგანგებო რაოდენობა დააწესონ, რაიც უნდა აცნობონ ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს მე-3 მუხლის წესით.

5. წინა მუხლებში აღნიშნული შენაკვეცები სარეწაო გადასახადზე გადახდევინებულ უნდა იქნას განუყოფლად პატენტების სახელმწიფო ღირებულობასა და საპროცენტო, ან შესაფარდებელ გადასახადის ჯამებთან ერთად იმ საფუძველით, რომელიც ნაჩვენებია 1923 წლის აპრილის 2-ს დეკრეტში მუხლი—4, განყოფილება—II, თავი მე-3.

6. ფინანსთა სახალხო სასურსათო კომისარიატის კასებში შესული შენაკვეცთა ჯამები შესაფერ აღმასკომებს უნდა გადაეცეს არა უგვიანეს 3 დღისა თუ ამას უკანასკნელნი მოითხოვენ.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარი თუმანოვი.
ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომ სარიატის კოლეგიის წევრი: [illegible]
16 მაისი 1923 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

**მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 27 მაისიდან 3 ივლისამდე)**

— შაბათს, 2 ივნისს, დღის 8-დან 10 საათამდე. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიასთან არსებული წრე, ხელმძღ. ამხ. ლიბახი.

— საგანგებო დანიშნულების ნაწილების და „მბეჭდავების“ წრეებში, ხელმძღვანელების გამგზავრების გამო, მეცადინეობა დროებით შეწყდა.

**ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება**

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი იტყობინება, რომ ა. წ. 30 მაისს, ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის ქალაქის აღმასკომის ყოფილ სათათბიროს დარბაზში შესდგება სადელეგატო კრება მე-4-ე რაიონის იაჩეიკების მდივნების თ. ნადასწრებით

სავალდებულოა ყველა დელეგატების და მდივნების დასწრება. პასუხისმგებლობას დელეგატების გამოუცხადებლობისათვის კისრულობს იაჩეიკის მდივანი.

**პასუხ. მდივანი ხაცკევიჩი.**

## განცხადებები

ნინო ნაკაშიძე. მაკა, სიმონი, პატარა ეთერი წერეთლები და დიომიდე ამით აუწყებენ ნათესავებს, რომ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მათი ძვირფასი

### ილიკო

რომლის დაკრძალვა მოხდება დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, გამოსვენება ოთხშაბათს, 30 მაისს, 4 ნახ. საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, მამა-დავითის ქუჩა № 2.

729—2—1

ილინე, ლევანი და ანტონინა, ალექსანდრე და მარიამი, ივანე ნაკაშიძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ სოფ. კიკეთში 26 მაისს, მოულოდნელად გარდაიცვალა მათი ძვირფასი ძმა

### ილიკო ნაკაშიძე

დაკრძალვა მოხდება დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გამოსვენება—30 მაისს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე ბინიდან (მამა-დავითის ქუჩა, სახლი № 2). სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე.

729—2—1

ეკატერინე და ლეო კრემერები შვილებით, მარიამი, ლიზა, სანსონი, ალექსანდრე, იოსები მეუღლეებით და შვილებით, ვიქტორია ძმებით—ანთაძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა პირველთათვის სიძე და მეგობარი და მეორეთათვის დაუვიწყარი აღმზრდელი ბიძა

### ილიკო ნაკაშიძე

729—2—1

* * *

რუსთაველის თეატრი

დღეს, 29 მაისს,

მსახიობ ანტონინა აბელიშვილის ბენეფისი

### ელექტრა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრ. 424—1—1

* * *

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 29 მაისს,

### ლოენგრინი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კრ. 425—1—1

* * *

### აღმასკომის კომუნალური განყოფილება

აცხადებს ყველა მოქალაქეების საყურადღებოთ, რომ პირველი ივნისიდან ა. წ. წყალსადენის მანეთის კურსი 1.000.000 მან. შეცვლილია 1.600.000 მან.

კომუნ. მეურნეობ. გამგე: **ხ. ულენტი.**

წყ. კანც. გამგე საქმის მწარმოებ.: **ნ. გვირიშიანი.**

კრ. 427—2—1

* * *

**რ. ს. ფ. ს. რ** **ს. მ. უ. ს.**

სრულიად რუსეთის ამხ-ბა **„შერსტ“** („მატყლი“)

ამიერ-კავკასიის კანტორა **თბილისში**

—— განყოფილება ბაქოში ——

ყოფ. **თამამშევის ქარვასლა, დარაბა 1960**

**აწარმოებს** ყოველგვარი ხარისხის მატყლის შესყიდვას როგორც ნაღდზე, ისე საქონელზე გაცვლით.

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს **აწვდის ბამბის**

**მანუფაქტურას.**

კრ. 423 1—1

* * *

### ტფილისის საქონლის და საფონდო ბირჟაზე

### 30 მაისიდან

### ოპერაციები სწარმოებს:

10-დან 11 სათ. საფონდო განყოფილებაში.

10-დან 12 „ საქონლის „

კრ. 428 1—1

* * *

## ქ. ბათომის

### სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

### ვ. ჩიტია ამით აცხადებს,

**რომ 2 ივნისს, 1923 წ. დილის 9 საათზე, ქალ. ბათომში იქნება მოხდენილი საჯარო ვაჭრობა გასასყიდათ ფირმა „სოსიფროსის“ ქვემონაჩვენებ ქონებისა:**

1. ავტომობილები (2—მსუბუქი „ფიატი“ და „ლაურ-კლემენტი“, 2—ნახევარტვირთ. „ფიატი“ და 1—ტვირთმზიდავი „პაკკარდი“ სულ — — — 5 ცალი
2. ავტომობილის შინები (პაკრიშკები) სხვა და სხვა ზომებისა — — — 265 „
3. ავტომობილების კამერები — — 478 „
4. „ „გრუზოშინები“ — 17 „
5. ავტომ. ნაწილ. სხვა და სხვა „ფიატი“-სთვის —
6. ლამპოჩკები ელექტ. სხვა და სხვა ზომისა 723 „
7. საპონი მარსელის „კლეტკა“ — 112 ყუთი
8. ლილა 33 ბოჩკა — — — 146 ფ. 28 გ.
9. ტყავები თხისა უბრალო და შევრეტი (ემიტაცია) — — — — — 98 ცალი
10. პაპიროსის ქაღალდი ოთხი ყუთი, თვითეულში 657 კოლოფი —
11. რძე გაწმენდილი — — — 297 ყუთი
12. ცულები ფოლადისა — — 1497 ცალი
13. ფოლადი სხვა და სხვა — — 1361 ფ. 17 გ.
14. ხელსაწყობები სხვა და სხვა (შვედური კლიტეები და სხვა. —
15. ლამპები („პაიალნი“) — — 27 ცალი
16. ქვები ასანთისა — — — 13 კილო
17. მატყლი აქლემის — — — 309 ფ. 22 გ.
18. სპილენძი მტვრეული — — 1012 ფ. —
19. სხვა და სხვა ინვენტარი და კანტორის მოწყობილება (სალაროები, მაგიდები, სკამები, შკაფები, საწერი მანქანები და სხ.)
20. სხვა წვრიმალი საგნები —

ეს ქონება აღწერილია დასაფარავად სალერბო ჯარიმის 259.283 მან. ოქროთი თანხაში, რომელიც მისჯილი აქვს ფირმა „სოსიფროსიდაგან“ ხაზინას ქ. ბათომის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს დადგენილებით. აღნიშნულის აღმასრ. ფურც 23 მარტის 1923 წ. თარიღით № 473. საერთო ჯამი ზემო ნაჩვენები ქონებისა უდრის 65.476 მანეთს ოქრ. ქონება გაიყიდება ადგილობრივ ბათომის საწყობში, ავლობჯინის ქ., 26. გაშინჯვა შეიძლება 1 ივნისს (9—2 ს.) და საჯარო ვაჭრობის დღეს.

სასამ. აღმასრულ. ვ. ჩიტია.

(კრ. 424 0—1

* * *

## Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.

(бывший Гастрест), просп. Руставели № 26.

доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все

### Московские и Петроградские газеты и журналы

с доставкой на дом Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно от газетчиков г. Тифлиса.

6—5

* * *

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

### ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთაველის პროსპ. № 26.** ტელეფ. № 5—43.

ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

| | |
|---|---|
| საერთო ხელის მოწერა . . . . | 1.250.000 |
| კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის | 800.000 |
| ერთი ეგზემპლიარი . . . . | 50.000 |

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება.

6—5

* * *

ს. ს. ს. რ. ჯ. ს. კ.

### მთავარი საკურორტო სამმართველო

**ამით აცხადებს იმ ავადმყოფთა საყურადღებოთ, რომელთაც სურთ მათი ჯანმრთელობის გამო იქნენ გაგზავნილი სახელმწიფო კურორტებზედ, რომ ამა 1923 წლის 28 მაისს დილის 10 საათიდან სანიტარო საკურორტო გადამრჩევი კომისია იწყებს მუშაობას რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) ამბულატორიის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.). განცხადებები რაიონის ექიმის ავადმყოფობის მოწმობით, ადგილკომისა და პროფკავშირების უნდა იქნენ წარმოდგენილი 25 მაისიდან არა უგვიანეს 5 ივნისის.**

**ორშაბათს, 28 მაისს გამოცხადდებიან შესამოწმებლად ის პირნი, რომელთა გვარიც იწყება ანბანით ა, ბ, გ, გ, დ, და სხვა დამატებითი განცხადებები გამოცხადებული იქნება კომისიის შენობაში.**

(კრ. 416—3—3)

* * *

**ტფილისის აღმასკომი**

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ კოჯორში სეზონი დაიწყება

### მხოლოდ 15 ივნისიდან,

ამისათვის აღნიშნულ ვადაზე ადრე კოჯორში გადასვლა და საავარაკოდ დაბინავება შეუძლებელია. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ იმ პირთ, ვინც კოჯორის აგარაკები ინახულა და კოჯორის სამეურნეოდან მიიღო შესაფერი ანგარიში, თუ სამი დღის განმავლობაში ფასს არ გადაიხდიან, აგარაკები გადაეცემათ სხვას.

კრ. 419—2—2

* * *

**დაიკარგა** საღრიცხვო ბარათი და მოწმობა, გაცემული პავლოგრადის სამხედრო კომისრისა და მილიციის მიერ იაკობ დავითის ძე ვაისმენის, მისი მეუღლისა და ბავშვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

728—1—1

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მიღებული ქ. თბილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან მნაცაკან ალექსანდრეს ძე არუთინოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

727—1—1

**დაიკარგა** ახალციხის მილიციის უფროსის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა პეპრონია აკობჯანის ასულ ხრხრიანცის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

728—1—1.

* * *

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი

### ი. ფ. პალატნიკოვის

ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

(15—10) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

* * *

ელექტრონის სინათლის და

### სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დარსონვალი**

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ.

სავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

(501—25—12)

* * *

ცირკულიარი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის მარტის 5-ს თარიღისა და 22 №-ის დადგენილებით დამტკიცებული

### ყოფილი სამხედრო უწყების რკინის გზის ქონების

## აღმრიცხველი კომისია

უკვე შეუდგა მუშაობას რკინის გზის იმ ქონების გამორკვევისა და სისწორით აღრიცხვისათვის, რაც წინათ ეკუთვნოდა სამხედრო უწყებას.

ისახავს რა მიზნად ახლო დროში გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბოს აღნიშნული ქონების შემდგომი სარგებლობის უფლება იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიერ, რომელთა გამგებლობაშიც იგი დღეს-დღეობით ითვლება, რკინის გზის ქონების აღმრიცხველი კომისია, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასა და პირთ, რომელთა გამგებლობაშიც ირიცხება რკინის გზის ესა თუ ის ქონება, ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამა ცირკულიარის გამოქვეყნებისა, წარმოადგინონ სწორი ცნობები ზემოხსენებული ქონების შესახებ და აღნიშნონ:

1) ქონების სრული სახელწოდება და ტიპი,
2) რაოდენობა,
3) ქონების მდგომარეობა,
4) ადგილი, სადაც ქონება არის,
5) როგორ და როდის არის იგი შეძენილი,

და 6) რა სახითაა ამ ჟამად იგი გამოყენებული.

ამიერ-კავკასიის, ჯულფა-ბაქოს და ოზურგეთის რკინის გზათა სამმართველოები წარმოადგენენ ცნობებს მხოლოდ რკინის გზის იმ ქონების შესახებ, რაც მათ გამგებლობაში გადავიდა ძველი არმიის დემობილიზაციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში.

ყველა დაწესებულებასა და პირს, რომელიც აღნიშნულ ვადაზე, გარეშე რაიმე პატივსადებ მიზეზისა, არ წარმოადგენს ზემოხსენებულ ცნობებს, ჩამოერთმევა უფლება ისარგებლოს რკინის-გზის ქონებით, უკეთუ ასეთი მის გამგებლობაში აღმოჩნდება.

ცნობები გამოგზავნილი უნდა იქნეს შემდეგი მისამართით: ტფილისი, სადგურის ქუჩა № 1 (ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო), ოთახი № 21.

კომისიის თავმჯდომარე: **ლევაშოვი**

1923 წლის მაისის 14.

2—1

* * *

### საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

## თამბაქოს ტრესტი

**პრეისკურანტი № 18**

1923 წ. 22 მაისიდან **ჩერვონცებში** თანახმად ამიერ-კავკ. ს-ხკომსაბჭოს დეკრეტისა ა. წ. 22 მაისის თარიღით № 19.

| ნაწარმოების სახელწოდება | 1000 ცალის ფასი დაკვეთის დროს. | | | |
|---|---|---|---|---|
| | არა ნაკლებ 50 ათასისა ყველა ხარისხების | | 150 ათასი 1 პროცენტის დაკლებით. | |
| | ჩ ე რ ვ ო ნ ც ე ბ ი | | | |
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| **კოლოფებში** | | | | |
| „ინგლისური“ მესამე ქარხნის | 16 | 50 | 16 | 33 |
| „სოვეტსკიე“ პირველი „<br>„სოლიდნიე“ „ „ | 13 | — | 12 | 87 |
| „ხან-კეფი“ მეხუთე „<br>„სოვეტსკიე“ მეორე „ | 11 | — | 10 | 89 |
| „ეგიპეტსკიე“<br>„დელიგატესი“<br>„სოვეტსკიე“ მე-3 ც მე-4 ქარხ.<br>„ირის“<br>„პრიმა“ | 8 | — | 7 | 92 |
| № 105 | 7 | 90 | 7 | 82 |
| **პაჩკებში** | | | | |
| „დელიკატესი“<br>„ეგიპეტსკიე“<br>„ბუკეტ“ | 7 | 70 | 7 | 62 |
| „დარიალ“<br>„ექსტრა“<br>„როსკოშ“ | 5 | — | 4 | 95 |
| № 5 მესამე ქარხნის<br>„მარს“ მეორე „<br>„ზვეზდა“ 100 ცალი მე2 ქარხ. | 4 | 25 | 4 | 21 |
| „მარს“ მეოთხე ქარხნის<br>„ზარია“ მეხუთე „ | 3 | 80 | 3 | 77 |

1. არა ნაკლებ 150.000 ცალის დაკვეთის დროს დაწესებულია დაკლება 1 პროც.

2. თითეულ ათას ცალ პაპიროსზე სავალდებულოა ერთი გირვანქა მესამე ხარისხის თამბაქოს წაღება.

| თამბაქო უმაღლესი ხარისხ. „სლონ“ | | ბირჟანძა |
|---|---|---|
| № 52 საფაროვის „კეფ“-ი და ყირიმის „კომეტა“ და — — — | 2 მ. 50 კ. | 2 მ. 48 კ. |
| გადარჩეული „მირ“ — — — — — — — | 2 მ. 15 კ. | 2 მ. 13 კ. |
| მოზარჯიანცის „სამსონ“ — — — — — — — | 2 მ. — | 1 მ. 98 კ. |
| № 52—სეილანოვის, № 120 ენფიაჯ., № 108—საფარ., „საერო“ და „შირაქი“ | 1 მ. 65 კ. | 1 მ. 63 კ. |
| „ნაროდნია“—სეილანოვ., საფაროვ.—„კომეტა“, „საგანგებო“, „სამსუნ“ ც „მირ“ | 1 მ. 35 კ. | 1. მ. 35 კ. |
| წუმწუმა—„25 ოქტომბრის“ სახელობის ქარხნის—ყუთი — — — | 15 მ. — | |
| პაპიროსის გილზები სხვა და სხვა ზომის—ყუთი (40 კოლოფი) — — | 11 მ. 50 კ. | |

კრ. 421 (2—2)

* * *

### ს. ს. ს. რესპუბლიკის

### მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საწყობში

(ელისაბედის ქუჩა № 164).

**იყიდება** უცხოეთიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების, იარაღების და მშრალი ქიმიურ სალებავების დიდი **პარტია**

**ფასები ზომიერია.** **შეძენა შეუძლია ყველას.**

**მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საწვრილმანო მაღაზიაში**

(რუსთაველის პროსპექტი № 24 და მუშტაიდში) შეიძლება შეძენა: სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების ცალკე ნაწილების; საექიმო მასალების, ნატურალური ღვინოების ყოფ. საუფლისწულო მამულებიდან, შინამრეწველობის ნაწარმოებთა და სხვა.

**საწვრილმანო მაღაზიაში** რუსთაველის პრ. № 24 **იყიდება მანუფაქტურა:** ჩითი, ნარმა, ტილო, თაესახვევები და სხვ. (კრ 420 3—2